# ალია

N159/3089/28 ოქტომბერი 2014 წ

ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან


## რატომ არ ეტყობა 6%-იანი ზრდა მოსახლეობის ცხოვრებას?

## ვალერი გელბახიანი: „ჩვენ ნუ ვუყურებთ სააკაშვილს, რომ ვიღაც გიჟი ყბედი დადის და აფრქვევს თავის აზრებს“

- რა მზაკვრული გეგმები იმალება „ნაციონალების“ დაანონსებული აქციის მიღმა?
- რა შემთხვევაში დაუფინანსებს დასავლეთი სააკაშვილს რევოლუციას?
- რატომ აწყობს აზერბაიჯანს ხელისუფლებაში სააკაშვილის დაბრუნება?
- რა უნდა გააკეთოს 15 ნოემბრამდე მარგველაშვილმა აუცილებლად?



## ირაკლი ღარიბაშვილმა ორი კურდღელი მოკლა

ვისგანაა თავისუფალი მედია? თქვენგან კი, სასამართლოსგან — არა!.. არ დაგვაგიწყდეთ, ბატონო ირაკლი, ჩვენ იგივე სასამართლომ ობიექტურობისთვის დაგვსაჯა, ხოლო აკო მინაშვილი ისევ პარლამენტში ზის



## რა თანამდებობებზე დაინიშნენ კახა კალაძის ცოლისძმა, ცოლის ბიძა და ცოლის დეიდაშვილი?



## მამუკა არეშიძე: „ჩათვალეთ, რომ დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ხელით ფინანსდება „ნაციონალების“ ვოიაჟები აქეთ-იქით...“



## ვახუშტის ხიდთან მომხდარ ავარიას ერთი ადამიანი ემსხვერპლა



27 ოქტომბერს ვახუშტის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, გარდაიცვალა შეჯახების შედეგად დაზიანებული ორი ავტომობილიდან ერთ-ერთის, „ოპელის“ მარკის ავტომანქანის მძღოლი.

„მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის ან უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია“, – აღნიშნავენ შსს-ში. (ინტერპრესნიუსი)

## „ახალგაზრდული ცენტრი“ 15 ნოემბერს კონტრაქციას გამართავს



ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელის ზურა ქადაგიძის განცხადებით, 15 ნოემბერს, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაანონსებული აქციის პარალელურად, „ახალგაზრდული ცენტრი“ კონტრაქციას გამართავს.

„ვაპირებთ ერთი აქციის გამართვას, რომელიც იქნება გამაფრთხილებელი, მაგრამ ჩვენ არ გამოვიწვევთ ვითარების დაძაბვას. ეს მათ ინტერესებში შედის და არ მივცემთ საშუალებას მიხეილ სააკაშვილს, რომ თქვას, ქვეყანაში დაძაბულობაა და ახალგაზრდები უპირისპირდებიან ერთმანეთსო. მაქსიმალურად ჩავჯდებით კონსტიტუციის ფარგლებში. მე და ჩემი გუნდი ჩვენს ქმედებებზე პასუხისმგებელი ვართ“, – განაცხადა ქადაგიძემ. (რეპორტიორი)

## მართვის მოწმობის აღების მსურველები გამოცდას 15 დეკემბრიდან ახალი ბილეთებით ჩააბარებენ




შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ცნობით, ბილეთები კვლავ იქნება ქართულ, აფხაზურ, ოსურ, ინგლისურ, თურქულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. 2013 წლის დეკემბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა საგზაო მოძრაობის შესახებ უსაფრთხოების კანონი, რომლის მიხედვითაც იყო შექმნილი ძველი საგამოცდო ბილეთები. ამავდროულად, ამოქმედდა ახალი კანონი და სწორედ ამ კანონზეა მორგებული მართვის მოწმობის ახალი ბილეთები. კერძოდ, ახალი კანონის მიხედვით, განსაზღვრულია, რომ ძველი ბილეთები ახლის დამტკიცებამდე იმოქმედებდა. მომსახურების სააგენტოს ცნობით კი, ახალი ბილეთები მინისტრის ბრძანების საფუძველზე, 21 ოქტომბერს დამტკიცდა და ძალაში 15 დეკემბრიდან შედის.

„საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო და საერთაშორისო-სამართლებრივ ინსტრუმენტებს სხვადასხვა სფეროში. ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივა მართვის მოწმობის თაობაზე ითვალისწინებს მართვის მოწმობის გაცემისა და გამოცდების ჩაბარების წესის ამ დირექტივასთან დაახლოებას, რის საფუძველზეც განხორციელდა ცვლილებები. ახალ ელექტრონულ ბილეთებში გამოყენებულია სიტუაციის აღმწერი ვიდეორგოლები, რის საშუალებითაც კანდიდატს სიტუაციის უკეთესად აღქმისა და გაანალიზების საშუალება ეძლევა. მისაღები თეორიული გამოცდის საგამოცდო ტესტების ელექტრონულ ვერსიაში მოხდება საგამოცდო ტესტის სწორი და არასწორი პასუხების ნუმერაციის გადაადგილება მათი შინაარსის შეუცვლელად, რაც საგამოცდო ბილეთების მექანიკურად დამახსოვრებას გამორიცხავს“, – განაცხადეს მომსახურების სააგენტოში.

ახალ ბილეთებში აღქმის გასაიოლებლად გამოყენებულია საქართველოს ავტომაგისტრლებისა და ქუჩების ფოტო-ვიდეომასალა. ამასთანავე, ელექტრონული ტესტირებისას მეტი თვალსაჩინოებისთვის შესაძლებელია საგზაო მოძრაობის კონკრეტული ელემენტის ახლო მანძილიდან დანახვა.

„ახალი ბილეთები გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეში, უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე“, – აცხადებენ სააგენტოში. (რეპორტიორი)

## დომენტი გაგნიძის ოფისი გაქურდეს




დომენტი გაგნიძის ოფისი გაქურდეს. შემთხვევა გუშინ 26 ოქტომბერს ღამით აწყურის ქუჩაზე მოხდა. წინასწარი ინფორმაციით, წაღებულია რამდენიმე ათასი ლარი. დაზიანებულია სახალხო მკურნალის სახელით ცნობილი ექიმის სამუშაო ოთახის ინფრასტრუქტურა. საქმეზე გამოძიება ქურდობის მუხლით მიმდინარეობს. (პირველი რადიო)

## უშიშროების საბჭოს სხდომას მაია ფანჯიკიძე დაესწრება



უშიშროების საბჭოს სხდომას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, მაია ფანჯიკიძეც დაესწრება.

„უშიშროების საბჭოს სხდომას დაესწრებიან ის წევრები, რომელებიც არიან თბილისში და ის მოწვეული სტუმრები, რომლებიც დაპატიჟებულები არიან სხდომაზე. პრემიერ-მინისტრი დაესწრება იმ მინისტრებთან ერთად, რომლებიც არიან თბილისში“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## „რამდენჯერ უნდა გითხრათ, მე ვცემე ვალერი გელაშვილი!“



„ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი გიორგი ხმელიძე აცხადებს, რომ დეპუტატი ვალერი გელაშვილი თავად სცემა.

„პროკურატურის 2-მეტრიანმა შლანგმა და შარიკოვმა გვამცნეს, რომ ვალერი გელაშვილის საქმეზე სააკაშვილსა და სხვებს ბრალს წაუყენებენ. რამდენჯერ უნდა გითხრათ, მე ვცემე ვალერი გელაშვილი, მე ვიყავი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იმ ნიღბიანებიდან, აი, ის ყველაზე დიდი ფინგალი, ჩალურჯება, რომ ადევს თვალზე, ეგ მე დავაჭედე მარჯვენათი და ავტომატის კონდახიც დავაყოლე, ვამაყობ ამ საქციელით და მთელი ცხოვრება ვიამაყებ!!! ახლა მეტსაც გეტყვით, კიდევ როცა მექნება მომენტი და ვითარება შემიწყობს ხელს, უარესად ვცემ, უარესად გავუხევ იმ სახეს, არასოდეს არ დავიღლები მაგისთანა ნეხვების ცემით!!! ვალერი გელაშვილია, ყაჩაღი, წამლის ბარიგა, სპირტის კონტრაბანდისტი, ბარდელის მამაშა, სკოლის გადამწვავი“, – აცხადებს ხმელიძე. (რეპორტიორი)

## 29 ოქტომბრიდან მთელ საქართველოში ტემპერატურა მოიმატებს



აღმოსავლეთ საქართველოში ნალექი 28 ოქტომბრამდე შენარჩუნდება. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოლოგიური სამსახურის უფროსის, სვეტლანა ნიორაძის განცხადებით, 29 ოქტომბრიდან მთელ საქართველოში ტემპერატურა მოიმატებს და ნალექიც შეწყდება.

„აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან შესაძლებელია მცირე წვიმა და ნისლი, ზეგ და მაზეგ უკვე უნალექო ამინდებია ნავარაუდევი. დასავლეთ საქართველოში კი უნალექო ამინდია. ტემპერატურა დასავლეთში იქნება 20-25 გრადუსი, აღმოსავლეთ საქართველოში 8-13, 29 ოქტომბერს 11-16 და 30 ოქტომბერს კი 12-17 გრადუსი.

შესაძლოა მთაში მცირე თოვლი აღინიშნოს. თბილისში შესაძლებელია მცირე ნისლი და წვიმა, ტემპერატურა 5-11 გრადუსი იქნება, მომდევნო დღეებში კი უნალექო ამინდია ნავარაუდევი“, – განაცხადა ნიორაძემ. (news.ge)

## მთავრობამ ლობისტურ კომპანიას 4 მილიონ ლარზე მეტი გადაუხადა



საპარლამენტო უმცირესობის წევრის, მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, ერთ წელიწადსა და 9 თვეში მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან აშშ-ში ლობისტური კომპანიის მომსახურებისთვის 4 მილიონ ლარზე მეტი გადაიხადა. მაჭავარიანმა მთავრობის ადმინისტრაციიდან გამოთხოვილი შესაბამისი დოკუმენტი წარადგინა.

ამ დოკუმენტის თანახმად, ხელისუფლებამ საკონსულტაციო მომსახურება კომპანია Patton Boggs-ს შეუკვეთა, რომელიც 2012 წლის არჩევნებამდე „ქართული ოცნების“ ინტერესებს ლობირებდა. „პოსტსკრიპტუმის“ ინფორმაციით, იგივე კომპანია აშშ-ში ლობისტურ მომსახურებას რუსულ სახელმწიფო კომპანიებს „გაზპრომნეფტსა“ და „როსნეფტს“ უწევს.

Patton Boggs-სთან კონტრაქტის არსებობა საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა დაადასტურა. მისი თქმით, „ეს არის კომპანია, რომელიც მაღალი რეპუტაციით სარგებლობს და საკმაოდ კარგ მომსახურებას გვთავაზობს იმ ფასში, რა ფასის გადახდაც არის გათვალისწინებული“. (news.ge)

## შაქრო კალაშოვს ესპანეთიდან რუსეთში გადაიყვანენ



„ევროპა პრესის“ ინფორმაციით, რამდენიმე დღეში, ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდის შაქრო კალაშოვის რუსეთში ექსტრადირება იგეგმება.

კალაშოვი, რომელიც კრიმინალურ წრეებში ცნობილია, როგორც „შაქრო მალადოი“, რუსეთში ერთ-ერთ გავლენიან კრიმინალურ ავტორიტეტად ითვლება. ის 2000 წლიდან ესპანეთშია, სადაც რუსული მედიის ცნობით, ფულის გათეთრებით იყო დაკავებული. რუსეთთან ერთად, კალაშოვის გადაცემას საქართველოც ითხოვს. 2006 წელს საქართველოს სასამართლომ კალაშოვს დაუსწრებლად 18 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა“, – წერს გამოცემა. (ინტერპრესნიუსი)

## ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ კანონპროექტი პარლამენტის ბიუროზე დარეგისტრირდა



ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ კანონპროექტი პარლამენტის ბიუროზე დარეგისტრირდა. მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას ითხოვდა, თუმცა დეპუტატებმა, კანონის მნიშვნელობიდან და საზოგადოების ჩართვის აუცილებლობიდან გამომდინარე, ეს ინიციატივა არ გაიზიარეს.

ახალი კანონპროექტი ოჯახურ ძალადობას სისხლის სამართლის დანაშაულად განიხილავს, რომელიც მოძალადის 1 წლამდე, ხოლო განმეორების, ან არასრულწლოვნის თანდასწრებით ძალადობის ჩადენის შემთხვევაში, 1-დან 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

„სისხლის სამართლის კოდექსში, მთავრობამ წარმოადგინა ცვლილება, რომლის მიხედვითაც სანქციების ნაწილი გარკვეულწილად მკაცრდება. მოთხოვნა იყო, რომ კანონპროექტი განხილულიყო დაჩქარებული წესით, მაგრამ პარლამენტმა ისურვა, რომ აღნიშნულ საკითხზე, სერიოზულობიდან გამომდინარე, უფრო მეტი იმსჯელოს“, – განაცხადა თადუმაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ საჭიროა კანონპროექტის ხანგრძლივი განხილვა, რათა მოხდეს მისი ყველა დეტალის შესწავლა. მისი თქმით, კანონპროექტის მიღებას რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ეწინააღმდეგება, რადგან, მათი აზრით, შესაძლოა, ამან შეამციროს იმ მსხვერპლთა რიცხვი, რომლებიც ძალადობის შესახებ შესაბამის სტრუქტურებს შეტყობინებენ. (news.ge)

# ირაკლი ღარიბაშვილმა ორი კურდღელი მოკლა

**ვისგანაა თავისუფალი მედია? თქვენგან კი, სასამართლოსგან — არა!.. არ დაგავიწყდეთ, ბატონო ირაკლი, ჩვენ იგივე სასამართლომ ობიექტურობისთვის დაგვსაჯა, ხოლო აკო მინაშვილი ისევ პარლამენტში ზის**

27 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა სასტუმრო „რადისონში“ 2-წლიანი მუშაობის ანგარიში წარმოგვიდგინა. ეს იყო ერთგვარი შეხვედრა საზოგადოების წარმომადგენლებთან, ექიმებთან, პედაგოგებთან, ჟურნალისტებთან, კულტურის მუშაკებთან, სპორტსმენებთან, მეწარმეებთან, პოლიციელებთან და ასე შემდეგ. საანგარიშო შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ პარლამენტარები და მინისტრები. 2 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „ნაცმოძრაობა“ გადაშენდა, ოღონდ ნაწილობრივ. 2 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი გადაშენდა, ოღონდ ნაწილობრივ. ჯერ ერთი, „ნაცმოძრაობა“ ისევ პარლამენტში გვიზის 55 წევრით და მეორეც – სააკაშვილი ისევე უვლის საქართველოს გარშემო, როგორც ლენინი უვლიდა რუსეთს 1917 წლამდე. ჩემი აზრით, ირაკლი ღარიბაშვილმა ორი კურდღელი მოკლა – მან ხელისუფლების 2 წლისთავიც აღნიშნა და მიხეილ სააკაშვილსაც გააწნა სილა იმისთვის, რაც ამ დღეებში „რუსთავი 2“-ის ეთერში იკადრა. შეგახსენებთ, რომ სააკაშვილმა ძალიან მუქ ფერებში დახატა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა და საზოგადოების გარკვეულ ფენებს (თავის მომხრეებს) მოუწოდა, ვადაზე ადრე დაამხონ არსებული ხელისუფლება. ირაკლი ღარიბაშვილი ამაღლებულ ნოტაზე წარდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე:

„2012 წელს მე დავინახე ერთ მუშტად შეკრული საზოგადოება, რომელიც გაერთიანდა ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად, გაერთიანდა დემოკრატიული ღირებულებების გარშემო და არჩევანი ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების სასარგებლოდ გააკეთა“.

**ჩვენი საზოგადოება გაერთიანდა საკუთარი ღირსების გადასარჩენად, მაგრამ მაინც ვერ მიიღო ის, რასაც ელოდა. ღირსების აღდგენა უნდა მომხდარიყო კანონით გათვალისწინებული მეთოდებით, მაგრამ საზოგადოებას შესთავაზეს ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია, რამაც გააჩინა ნიჰილიზმი, პესიმიზმი და უნდობლობა**

დიახ, სწორედ ასე იყო, ჩვენი საზოგადოება გაერთიანდა საკუთარი ღირსების გადასარჩენად, მაგრამ მაინც ვერ მიიღო ის, რასაც ელოდა. ღირსების აღდგენა უნდა მომხდარიყო კანონით გათვალისწინებული მეთოდებით, მაგრამ საზოგადოებას შესთავაზეს ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია, რამაც გააჩინა ნიჰილიზმი, პესიმიზმი და უნდობლობა. კი, ბატონო, როგორც ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა, პირდაპირი წესით ავირჩიეთ 12 ქალაქის მერი და 59 გამგებელი, აიწია საარჩევნო ბარიერი, გაიზარდა 50 პროცენტამდე, მაგრამ დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, რომ გამგებლებსა და მერებს შორის ბევრი „პორტირებული“ „ნაციონალია“, რომლებსაც აზროვნება არ შეუცვლიათ და ვერც შეიცვლიან. აღარაფერს ვამბობ, რა ხდება გამგეობებსა და საკრებულოებში, როგორ იმუქრებიან ამ სტრუქტურებში დაწინაურებული „ნაციონალები“ ცოცხების რევოლუციით. გაჭირვებულ ხალხს ვერ აუხსნი, ჯერ მხოლოდ ერთი წელი რომ გავიდა მიხეილ სააკაშვილის ნაწილობრივი გადაშენებიდან:

„მე შემოვიარე მთელი საქართველო და ვიცი, როგორ ცხოვრობს ჩვენი ხალხი. ორ მილიონზე მეტი ადამიანი გვყავს გაჭირვებაში. ბევრ სოფელში დღესაც პრობლემაა წყალი, გაზი, გზები. 28 სოფელი დაგვხვდა საერთოდ ელექტროენერგიის გარეშე. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ისაა, რომ იმ ხელისუფლების ხელში, რომელიც თავს იწონებდა აღმშენებლობით, ხალხი უწამლობისა და უექიმობის გამო იღუპებოდა“.

სიღნაღის რაიონში არის ერთი სოფელი – ტიბაანი, სადაც 2012 წლამდე ყველა ოჯახს ჰქონდა წყალი. მოვიდა ახალი ხელისუფლება და ნახევარ სოფელს აღარ აქვს. დღემდე დადიან შეწუხებული ადამიანები გამგეობაში, იქ მხრებს იჩეჩავენ, ეს საკითხი ჩვენ არ გვეხებაო. გამგებელი ხან სად რეკავს, ხან – სად, ჰპირდებიან, პრობლემას მოვაგვარებთო, მაგრამ არაფერი. ეს ერთი მაგალითია, ძალიან ბევრ სოფელში არსებობს მსგავსი პრობლემა. რა ქნას ახლა გლეხმა, უნდა უხაროდეს, რომ მან საკუთარი რაიონის უმაქნისი გამგებელი პირდაპირი წესით აირჩია? არა, არ უხარია, ვერ უხარია და არც ტყუის, გაჭირვებული ადამიანი იდეალებს ვერ გამოეკიდება და ამით აუცილებლად ისარგებლებენ „ნაციონალები“. კი, ბატონო, ახლა დროებით აქეთ გადმოვინაცვლოთ, თავკომბალა თბილისში... ირაკლი ღარიბაშვილის თქმით:

„ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი არის დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება. პირველ რიგში, ეს არის თავისუფალი მედია და თავისუფალი სასამართლო, რომლის გარეშეც, უბრალოდ, არ არსებობს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო“.

თავისუფალი მედია – არის, დიდი მადლობა. თავისუფალი სასამართლო – არ არის. უფრო სწორად, დღეს ჩვენი სასამართლო იმდენადაა თავისუფალი, რომ კოტე კუბლაშვილი თავის „ნაციონალურ“ ჭკუაზე ატრიალებს და მამალი „ნაციონალები“ იმდენსაც კი ბედავენ, მოსამართლეებს „მესიჯებს“ უგზავნიან, ემუქრებიან:

„და მაინც, ხშირად ისმის კრიტიკა, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ, ამ კრიტიკის გამო, თუნდაც სრულიად უსაფუძვლო კრიტიკის გამო, დავიჭიროთ ადამიანები, მათი ოჯახის წევრები, დავაშინოთ მათი შვილები და მშობლები, რაც უახლეს წარსულში, სრულიად სამარცხვინოდ, უამრავმა ჩვენმა მოქალაქემ საკუთარ თავზე გადაიტანა. ჩვენ განსხვავებული აზრის გამო არასდროს ხელვყოფთ კერძო საკუთრებას, არ შევიჭრებით ტელევიზიაში და სამაგალითოდ არ დავსჯით ჟურნალისტებს მათი სიუჟეტების გამო. ჩვენ არ ვაწამებთ ადამიანებს და ამით არ დავაშანტაჟებთ მათ ახლობლებს. ჩვენ არასდროს შევქმნით ჩვენგანვე მართულ ოპოზიციას, საკუთარ, დაქირავებულ ექსპერტებს და ჟურნალისტებს“.

აი, ეს სხვა ამბავია, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ყოველივე არ უნდა გადაიზარდოს უნიათობაში. დღეს უკვე გამოდიან ადამიანები და ამაყად აცხადებენ, რომ თავის დროზე მათ სცემეს ვალერი გელაშვილი და თუ დასჭირდებათ, კიდევ სცემენ. დღეს გამოდის პარლამენტის წევრი აკო სიდედროვიჩ მინაშვილი და ამაყად აცხადებს, მოსამართლეს დავემუქრე და თუ დამჭირდება, მომავალშიც დავემუქრებიო. არ დაგავიწყდეთ, ბატონო ირაკლი, ჩვენ იგივე სასამართლომ ობიექტურობისთვის დაგვსაჯა, ხოლო აკო მინაშვილი ისევ პარლამენტში ზის. როდესაც მედიის თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ, ბარემ ისიც ვთქვათ, ვისგანაა თავისუფალი მედია? თქვენგან კი, სასამართლოსგან – არა! გამოდის, არცთუ ისე თავისუფლები ვართ. ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, მთავარია კანონის უზენაესობა და არა მიკერძოებული სასამართლო, რომელსაც შეუძლია, ნებისმიერ დროს გადამიაროს. იდეაში ვერ გადამივლის, მაგრამ მას შეუძლია, დრო გამოიყენოს... ის დრო, რომელიც თქვენ მიეცით. ისე, როგორც ჩანს, კოჰაბიტაციის პროცესი თქვენთვისაც ურთულესი იყო:

„გვქონდა ურთულესი ერთი წელი – კოჰაბიტაცია, შემდეგ ერთი წლის წინ გავისტუმრეთ სააკაშვილი, ავირჩიეთ ახალი პრეზიდენტი, სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ ჩავატარეთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ამით დავასრულეთ მთლიანი ციკლი ხელისუფლების გადაბარების. ამ ორ წელიწადში აბსოლუტურად ყველა სფეროში მივაღწიეთ წინსვლას. მე მესმის, რომ ბევრი რამ არ ჩანს. ბევრ რამეს არ აჩვენებენ ტელევიზიაში, არ უხარიათ და იმიტომ, მაგრამ ხალხმა ეს იცის, გრძნობს ამ ცვლილებებს საკუთარ თავზე“.



„მე შემოვიარე მთელი საქართველო და ვიცი, როგორ ცხოვრობს ჩვენი ხალხი. ორ მილიონზე მეტი ადამიანი გვყავს გაჭირვებაში. ბევრ სოფელში დღესაც პრობლემაა წყალი, გაზი, გზები. 28 სოფელი დაგვხვდა საერთოდ ელექტროენერგიის გარეშე. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ისაა, რომ იმ ხელისუფლების ხელში, რომელიც თავს იწონებდა აღმშენებლობით, ხალხი უწამლობისა და უექიმობის გამო იღუპებოდა“

თუ კოჰაბიტაცია იმისთვის შემოგვიგდეს ჩვენმა ამერიკელმა მეგობრებმა, რომ ერთი წლის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილს საქართველოდან მილიარდები გაეტანა და დღეს ჩვენს პროკურატურას ბებიამისის 15 წლის მანქანა დაეყადაღებინა, მაშინ, ბრავო! არადა, ჩვენ კოჰაბიტაცია სხვა რამე გვეგონა, სხვანაირად აგვიხსნეს – ყაჩაღებთან თანაცხოვრებას უნდა მიეჩვიოთო. ვერ მივეჩვიეთ... უფრო სწორად, ჩვენ ყველაფერს ვეჩვევით, მაგრამ ყაჩაღები ვერ მიეჩვივნენ პატიოსან ხალხთან თანაცხოვრებას და დღეს იმდენსაც კი ბედავენ, ბატონო ირაკლი, თქვენც გივარდებიან სადარბაზოში. კოჰაბიტაცია გრძელდება, არ დამთავრებულა და ახლა „ნაციონალებს“ იქით უნდა ვეხვეწოთ, რომ ჩვენთან ერთად იცხოვრონ მშვიდად. მაგის იმედი არ გვაქვს, მაგრამ მაინც... ამას დავანებოთ თავი და ისევ რეგიონებზე გადავიდეთ? კი, ბატონო, გადავიდეთ:

„საქართველოში ყველა რეგიონს აქვს იმის რესურსი, რომ საკუთარი მეურნეობით ფეხზე დადგეს სოფლები. მეტიც, თითოეულ რეგიონში არსებობს იმაზე მეტი რესურსი, ვიდრე ადგილობრივ ბაზარს სჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შეუძლია თავისი პროდუქცია ექსპორტზე გაიტანოს. პერსპექტივები გვაქვს – საქართველოსთვის გაიხსნა ევროკავშირის 500-მილიონიანი ბაზარი და ეს ბაზარი უნდა ავითვისოთ, რაც შეიძლება სწრაფად. ჩვენ ვეხმარებით მცირემიწიან ფერმ-

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ხელისუფლება ოკუპანტს ეპირფერება“



გიგა ბოკერია პრემიერის გამოსვლას აფასებს და აცხადებს, რომ ღარიბაშვილის ანგარიშში ნათლად გამოჩნდა, რომ ხელისუფლებას არ აქვს გაცნობიერებული ის პრობლემები, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას.

„თითის გაშვერა წინა ხელისუფლებაზე, გამეორება იმ ე.წ დაბალანსებული პოლიტიკის, რომელიც არის უბრალოდ პირფერობა ოკუპანტთან და რომელმაც ზიანის მეტი არაფერი არ მოგვიტანა. კიდევ ერთხელ დადასტურდა რომ ეს არის ხელისუფლება – ივანიშვილის გუნდი, რომელსაც არ აქვს გაცნობიერებული რა პრობლემების წინაშე დგას საქართველო“. – აღნიშნავს ბოკერია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრეზიდენტი უკრაინელებს არჩევნების ჩატარებას ულოცავს

საქართველოს პრეზიდენტი უკრაინელ ხალხს დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ულოცავს.

„გულითადად ვულოცავ უკრაინელ ხალხს დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. ვუსურვებ წარმატებებს ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. საქართველო მტკიცედ უჭერს მხარს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა უკრაინელი ხალხის ევროპული ღირებულებებისადმი ერთგულება, სწრაფვა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და უკეთესი მომავლისადმი. მტკიცედ მჯერა, რომ გაერთიანებული ძალისხმევით, უკრაინა გადალახავს მის წინაშე არსებულ სირთულეებს.

მინდა კიდევ ერთხელ მივულოცო და ვუსურვო ახლად არჩეულ უმაღლეს რადას წარმატებული მოღვაწეობა ამ ურთულეს პერიოდში უკრაინელი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)



*მესამე გვერდიდან*

ერებს საგაზაფხულო სამუშაოებში – 2 წლის განმავლობაში დაიხსნა 420 ათასი ჰექტარი მიწა. ყოველ წელს 800 ათასი გლეხი იღებს დახმარებას სახელმწიფოსგან. ამაში 300 მილიონამდე ლარია დახარჯული. გლეხებს უსასყიდლოდ მივაწოდეთ 9 მილიონამდე ლარის ღირებულების სათესლე მასალა, 107 მილიონის ღირებულების სასუქი, 48 მილიონ ლარამდე ღირებულების შხამქიმიკატები, 54 მილიონამდე ლარის ღირებულების ინვენტარი. ამოქმედდა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი. 2013 წლის მარტიდან გაცემულია 492 მილიონი ლარის 21 ათას 400 აგროკრედიტი. წარმოიდგინეთ, მეგობრებო, ესაა ნახევარი მილიარდის ინვესტიცია. ამ პროექტის ფარგლებში, დაფინანსდა 89 ახალი საწარმო, ხოლო გადაიარაღდა 521“.

უდავოდ შთამბეჭდავი ციფრებია, სოფლად რაღაც პერსპექტივები გაჩნდა, მაგრამ იქაც აქვს არაერთ საბოტაჟს ადგილი. ამას წინებზე შემომჩივლეს გლეხებმა, ვისაც 1 ჰექტარი მიწა აქვს, იმას აძლევენ გარკვეულ დახმარებას სასუქისა თუ ინვენტარის სახით, ვისაც 1 ჰექტარი და 1 მეასედი აქვს, იმას – არა. კი, მაგრამ ვინ შემოიღო ასეთი წესი, ვისაც მეტი ფართობი აქვს, იმას უფრო არ სჭირდება დახმარება? ისე, მართალს ამბობთ, წელს ყურძნის ფასით გლეხები კმაყოფილები დარჩნენ:

„ყურძნის ფასი საგრძნობლად გაიზარდა და მინიმუმ ლარი ღირდა. თუმცა, რქაწითლის ფასმა – ლარ-ნახევარს, საფერავის კი 3 ლარსა და 40 თეთრსაც კი მიაღწია, ხალხმა თავისი შრომის შედეგად 270 მილიონი ლარი აიღო. წელს პირველად სახელმწიფო ეხმარება ვაშლის მწარმოებლებს და გაიცემა სუბსიდია არასტანდარტულ ვაშლზე, რისთვისაც 1 მილიონ 600 ათას ლარი დაიხარჯება“.

პრემიერ-მინისტრმა ასევე ისაუბრა განათლების სისტემაზე. მისი თქმით, სააკაშვილი და მისი მთავრობა უცხოეთში სასწავლებლად მათ ნაცნობ სტუდენტებს უშვებდა. შემდეგ ეს ბავშვები აღარ ჩამოდიოდნენ საქართველოში ან თუ ჩამოდიოდნენ საქმდებოდნენ კერძო სექტორში, ანუ სახელმწიფო ყრიდა რეალურად მათში ინვესტირებულ თანხას:

„ჩვენ ვაშენებთ და ვარემონტებთ სკოლებს. საქართველოს მასშტაბით უკვე ავაშენეთ 9 ახალი სკოლა და კიდევ ვაშენებთ 8 სკოლას... სახელმწიფო მთლიანად აფინანსებს 12 ათასამდე სტუდენტს. თბილისში დაიწყო თანამედროვე საერთო საცხოვრებლის მშენებლობა სოციალურად დაუცველი, რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის... ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ბიუჯეტი 1 მილიარდამდე ლარით გაიზარდა. დღეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობს 2 მილიონ 781 ათასი ადამიანი. ჩვენ თავიდანვე გვქონდა გაკეთებული არჩევანი და ერთი წუთით არ გვიყოყმანია, არ დაგვისვამს შეკითხვა გუნდში: მრავალმილიონიანი სასახლე თუ ჩვენი თანამოქალაქეების სიცოცხლე? მე შეგახსენებთ, რომ სააკაშვილმა 600 მილიონი გადაიხადა საკუთარი სასახლის მოსაწყობად. რა თქმა უნდა, ამ ადამიანს დავურლევიეთ კომფორტი და კიდევ უფრო მეტად დავურღვევთ კომფორტს, მაგრამ, ჩვენ მეტ კომფორტს მოვუწყობთ მოქალაქეებს... ჩვენი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ამ ეტაპზე 6%-ია. მსოფლიო ბანკის წლევანდელი ანგარიშით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, რეგიონში ჩვენი ქვეყანა არის პირველ ადგილზე, ხოლო მსოფლიო ბანკის წევრ ქვეყნებს შორის – მეორე ადგილზე. ამ ორი წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტი გაიზარდა 24%-ით, მათ შორის, 2012 წელთან შედარებით, ექსპორტი ევროკავშირთან – 70%-ით, ხოლო რუსეთთან – 534%-ით. 2 წლის განმავლობაში უკვე დარეგისტრირდა და გააქტიურდა 46 000 ბიზნესსუბიექტი. ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა 1 მილიარდი ლარით და გახდა სოციალურად ორიენტირებული“.

**არ დაგავიწყდეთ, ბატონო ირაკლი, ჩვენ იგივე სასამართლომ ობიექტურობისთვის დაგვსაჯა, ხოლო აკო მინაშვილი ისევ პარლამენტში ზის. როდესაც მედიის თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ, ბარემ ისიც ვთქვათ, ვისგანაა თავისუფალი მედია? თქვენგან კი, სასამართლოსგან — არა! გამოდის, არც თუ ისე თავისუფლები ვართ. ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, მთავარია კანონის უზენაესობა და არა მიკერძოებული სასამართლო, რომელსაც შეუძლია, ნებისმიერ დროს გადამიაროს**



**„ხშირად ისმის კრიტიკა, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ, ამ კრიტიკის გამო, თუნდაც სრულიად უსაფუძვლო კრიტიკის გამო, დავიჭიროთ ადამიანები, მათი ოჯახის წევრები, დავაშინოთ მათი შვილები და მშობლები, რაც უახლეს წარსულში, სრულიად სამარცხვინოდ, უამრავმა ჩვენმა მოქალაქემ საკუთარ თავზე გადაიტანა“**

ვიმეორებ, ძალიან შთამბეჭდავი ციფრებია, მაგრამ ამ ყველაფერს ზემოდან ლოდივით აწევს პრემიერ-მინისტრის ნათქვამი: „მე შემოვიარე მთელი საქართველო და ვიცი, როგორ ცხოვრობს ჩვენი ხალხი. ორ მილიონზე მეტი ადამიანი გვყავს გაჭირვებაში“. მესმის, 2 წელიწადში სასწაულს ვერავინ მოახდენს და მათ შორის, ვერც ეს მთავრობა, მაგრამ კარგი იქნებოდა, ბატონ ირაკლის პრობლემებზეც გაემახვილებინა ყურადღება – ციფრები ციფრებია, ცხოვრება კიდევ ცხოვრება. როცა 3-მილიონი ადამიანიდან (როგორც ამბობენ, დღეს ამდენი ვართ დარჩენილი ქვეყანაში) 2 მილიონი გაჭირვებულია, სასწრაფო ზომებია მისაღები, ეს თავის დამშვიდების საფუძველს არ იძლევა. სამწუხაროა, რომ ეს იყო მხოლოდ ანგარიში და არა პრესკონფერენცია (არადა, ბევრს პრესკონფერენცია ეგონა და დილიდანვე ამიკლეს ტელეფონით, პრემიერს ეს ჰკითხე, პრემიერს ის ჰკითხეო), შეკითხვების დასმის საშუალება არ მოგვეცა.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

# მარნეულის „მწნილისა და მურაბის ფესტივალი“ — თბილისობის დღესასწაულის ყველაზე გემრიელი და ტკბილი სტუმარი

**25-26 ოქტომბერს მარნეულის სასურსათო ქარხნის „მწნილისა და მურაბის“ ფესტივალს ახლა უკვე დედაქალაქმაც უმასპინძლა — თბილისობასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებს ეს შესანიშნავი ფესტივალიც შეუერთდა და „ყველაზე გემრიელი, ტკბილი და მხიარული სტუმრის“ საპატიო სტატუსიც დაიმსახურა.**

ორგანიზატორებისთვის, ალბათ, სასიხარულო იქნება, რომ ფესტივალს ეს „სტატუსი“ ჟურნალისტებთან საუბრისას 8 წლის მარიამ ხიზანიშვილმა მიანიჭა...

ასეა თუ ისე, მარნეულის სასურსათო ქარხნის „მწნილისა და მურაბის“ ფესტივალმა მოწონება დაიმსახურა როგორც ბავშვებში, ისე უფროსებში, რომელთაც უგემრიელესი და ქართულ ნედლეულზე დამზადებული მწნილისა და მურაბის დაგემოვნების საშუალება ჰქონდათ. გარდა ამისა, სპეციალურად პატარების დადებითი განწყობის შექმნაზე ზრუნავდნენ სხვადასხვა ზღაპრის გმირები, ჯამბაზები, ილუზიონისტები და ქუჩის თეატრის მსახიობები.



„ყველაზე გემრიელი და ტკბილი“ ფესტივალის ფარგლებში მოწყობილი იყო მწნილისა და მურაბის კუთხეები, სადაც სტუმრები „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ 50-ზე მეტი სახეობის პროდუქციას აგემოვნებდნენ. ასევე, შეეძლოთ, სასურველი ნაწარმი სპეციალურ ფასად შეეძინათ.

საკუთარი პროდუქციის გარდა, მარნეულის სასურსათო ქარხანამ თბილისობის სტუმრებს კონცერტიც შესთავაზა – ფესტივალის გახსნა და მუსიკალური პროგრამის გაძღოლა ფოლკლორულ ანსამბლ „მოძახილს“ ჰქონდა მინდობილი. ბავშვებისთვის კი ტკბილი და ამავე დროს ზღაპრული სამყარო იყო გაცოცხლებული, სადაც მათ ტკბილეული და საყვარელი ზღაპრის გმირები დახვდათ.

ღონისძიებებში მონაწილეობა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ქალაქის სტუმრებმა, ადგილობრივი ხელისუფლებისა და „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ წარმომადგენლებმაც მიიღეს და თბილისობის დღესასწაულის მორიგი ფურცელიც ასე ტკბილად და მხიარულად დაიწერა...

**თინათინ სამყურაშვილი,** **მარნეულის სასურსათო ქარხნის წარმომადგენელი:**

– ფესტივალმა უკვე ტრადიციული ხასიათი მიიღო და ძალიან მოხარულები ვართ, რომ საზოგადოებისგან ასეთი დიდი ყურადღება და თბილი დამოკიდებულება დავიმსახურეთ. განსაკუთრებით გვახარებს პატარების დამოკიდებულება, რომლებიც ჩვენთან ერთად მხიარულობენ და ფესტივალის გალამაზებაში გვეხმარებიან.

პირველად მარნეულის სასურსათო ქარხნის „მწნილისა და მურაბის ფესტივალი“ 2013 წელს თბილისში, თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში გაიმართა. წელს ღონისძიებამ სტარტი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბახმაროში აიღო – ფესტივალი ტრადიციულ დოღს დაემთხვა, რომელიც ყოველ წელს ფერისცვალების დღესასწაულზე იმართება, დედაქალაქში კი ფესტივალი თბილისობაზე დავასრულეთ, თუმცა მომავალ წელს ჩვენს მომხმარებელსა და საზოგადოებას კიდევ არაერთ სიურპრიზს შევთავაზებთ.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ფესტივალი საქართველოს 12 დიდ ქალაქში გაიმართა: 1-2 სექტემბერს ფესტივალს – ბათუმმა, 6 სექტემბერს – ახალციხემ, 7 სექტემბერს – გორმა, 13 სექტემბერს – ოზურგეთმა, 14 სექტემბერს – ზუგდიდმა, 20 სექტემბერს – ქუთაისმა, 21 სექტემბერს – სამტრედიამ 27 სექტემბერს – გურჯაანმა, 4 ოქტომბერს – მარნეულმა, 18 ოქტომბერს რუსთავობას რუსთავმა უმასპინძლა, ფესტივალი ტრადიციულად, დედაქალაქში, „თბილისობის“ დღესასწაულზე დასრულდა.

„მარნეულის მწნილისა და მურაბის ფესტივალი“ რეგიონებში „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ მხარდაჭერით იმართება.

**მიხეილ სახვაძე**



CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# მამუკა არეშიძე: „ჩათვალეთ, რომ დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ხელით ფინანსდება „ნაციონალების“ ვოიაჟები აქეთ-იქით...“

**პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საზოგადოების წინაშე განსხვავებულ ფორმატში წარდგა, მის გამოსვლას ესწრებოდნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, მინისტრები, ჟურნალისტები. ორწლიანი ანგარიში ბევრმა დადებითად შეაფასა, ბევრმა — უარყოფითად. თუმცა ერთი რამ კი ფაქტია, რომ პრემიერს მოუხდა ბევრი იმ საკითხის წინა პლანზე წამოწევა, რაც ორი წლის მანძილზე მიჩქმალული იყო და საზოგადოებამ არ იცოდა ხელისუფლების გაკეთებული საქმეები, სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამ მოსვლის დღიდან უარი თქვა პიარზე, ეს იყო დიდი შეცდომა, რასაც დღეს აღიარებენ.**

**ექსპერტი მამუკა არეშიძე ჩვენთან ერთად შეაფასებს პრემიერ-მინისტრის ორწლიან ანგარიშს:**

**— სხვათა შორის, ხელისუფლება ნანობს, რომ უარი თქვა პიარკამპანიაზე, ამის გამოც მიიღო ის, რომ მიხეილ სააკაშვილს თავი კვლავ პრეზიდენტი ჰგონია და რევოლუციით იმუქრება.**

– ჩვენ დიდი ხანია ვსაუბრობთ, რომ ხელისუფლებამ დაუშვა შეცდომა, როცა უარი თქვა პიარზე, საერთაშორისო ლობისტურ კომპანიაზე და მათ ჩათვალეს, რომ ამ საქმეს საელჩოები გაუძლვებოდნენ. ეს უნდა გაკეთდეს და ხარჯებიც უნდა იყოს გამჭვირვალე. თუ პიარკამპანია ორიენტირებული იქნება მხოლოდ მთავრობის პიარზე, მაშინ იგივე შედეგს მივიღებთ, რაც მიიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“. მაგრამ თუკი საერთაშორისო ლობისტები დაქირავებული იქნებიან იმ მიზნით, რომ მათ პიარკამპანია აწარმოონ საქართველოზე, მაშინ, აი, ეს იქნება გამართლებული და აუცილებლად გასაკეთებელია. საელჩოების იმედზე ამ საკითხის მიტოვება არანაირად არ შეიძლებოდა, რადგან საელჩოს ფუნქცია ეს არ არის მხოლოდ.

**— პრემიერის ანგარიშში მთავარ მესიჯად ის იქცა, რომ ღარიბაშვილმა აფხაზ და ოს ხალხს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ავტონომია და ევროპული პერსპექტივა შესთავაზა. რამდენად სწორი აქცენტი გააკეთა ღარიბაშვილმა?**

– ეს თემა ახალი არ არის, ასეთი შეთავაზება ყველა ხელისუფლების მხრიდან კეთდებოდა, სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა დოზით, მაგრამ დაახლოებით ასეთი პათოსით. საქმე ისაა, რა დევს ამ შეთავაზების უკან და მეორე, რა დროს არის ეს წინადადება შეთავაზებული. მე ვთვლი, რომ ღარიბაშვილის ეს შეთავაზება, რომელიც სიტუაციას რადიკალურად არ შეცვლის, შესაბამის დროს იყო გაკეთებული, როდესაც აფხაზებისთვის მძიმე დრო დადგა, ის ახალი ხელშეკრულების პროექტი, რაც რუსებმა აფხაზებს წარუდგინეს, აფხაზებისთვის ეს არის ძალიან შეურაცხმყოფელი და შემაშფოთებელი, მოსახლეობაში იზრდება ადამიანთა რიცხვი, რომლებიც სერიოზულად შეშფოთდნენ ხვალინდელ დღეზე, აი, ამ საჭირო დროს გააკეთა ღარიბაშვილმა აფხაზებისთვის ეს შეთავაზება... მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები არავითარ ავტონომიაზე ჩვენთან ლაპარაკს არ დაიწყებენ, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა იქითა მხარეს იმისთვის, რომ ეს გზავნილი სწორად იყოს გაგებული, რომელსაც დაახლოებით ასეთი შინაარსი აქვს, – ხომ ხედავთ, რუსები იმ სუვერენულ ნაწილსაც გართმევენ, რომელიც გაქვთ და ჩვენთან ერთად კი უფრო მოხერხებულად იცხოვრებთ თქვენი სუვერენიტეტის ფართო ფორმატში. ეს გზავნილი აუცილებლად დაილექება და სწორად იქნება შეფასებული. სხვათა შორის, მე უკვე მომწერა ერთმა ჩვენმა აფხაზმა კოლეგამ, ღარიბაშვილმა მიზანში გაარტყაო... არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება, გარდა იმისა, რომ ეს იყო საჭირო და დროული გზავნილიც, თუმცა ასეთი ტიპის განცხადებას ხელისუფლების მხრიდან აფხაზები კარგა ხანია ელოდებიან. ახლა საჭიროა შემდეგი ნაბიჯები, უნდა ამუშავდეს მრავალარხიანი დიპლომატია, რომელმაც შეიძლება შედეგზე გაგვიყვანოს, მხოლოდ გზავნილებით შედეგს ვერ მივაღწევთ.

**— საოკუპაციო ხაზის გასწვრივ სოფლებში ახალმა ხელისუფლებამ საწყავი არხები და გზები რომ გაიყვანა, ამის შესახებ ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არ იყო. 39 სოფელში გაყვანილია სარწყავი წყალი, გაზიფიცირებულია 58 სოფელი, აშენებულია ამბულატორიები, 11 ათას ოჯახს გათბობისთვის 200-ლარიანი დახმარება აქვს მიღებული, სახელმწიფო დაფინანსება მიიღეს სტუდენტებმა, რომლებიც გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან არიან. ეს რომ მიშას გაეკეთებინა, თითოეულ სოფელს დაგვაზეპირებინებდა.**

– სამწუხაროდ, სააკაშვილმა ჩვენი საზოგადოება მიაჩვია ხელისუფლების გაუთავებელ პიარს, მართალია, აქედან 80% ტყუილი იყო, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებას ჰქონდა იმის უნარი, ტყუილიც კი დაეჯერებინათ. დღევანდელი ხელისუფლება კი ამ საქმით აბსოლუტურად არ იყო დაკავებული, ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა რატომღაც გადაწყვიტეს, რომ მათ არ სურთ პიარი, მეტიც, პიარს ისინი აღიქვამენ რეკლამად. რეკლამასა და პიარს შორის კი უზარმაზარი განსხვავებაა. პიარის არქონამ გააჩინა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ზღვარი, ხალხმა არ იცის, რას აკეთებს ხელისუფლება, ხელისუფლებას კი ჰგონია, რომ ხალხამდე ყველაფერი მიდის და ხალხი აღტაცებული უნდა იყოს მისი ქმედებით, მაგრამ ამის თაობაზე საზოგადოებამ არაფერი იცოდა, იმიტომ, რომ პრემიერის პიარსამსახური ამბის მიტანას საზოგადოებამდე ვერ ახერხებს.

**— ღარიბაშვილის თქმით, 20 წლის განმავლობაში პირველად შემცირდა სიკვდილიანობა და დაფიქსირდა პენსიონერთა რიცხვის ზრდა, რადგან სახელმწიფო ზრუნავს მათ ჯანმრთელობაზეო. აშენდა 82 ამბულატორია და 90%-ით გაიზარდა სოფლის ექიმისა და ექთნის ხელფასი... პრემიერის განცხადება გადაჭარბებულია, თუ ეს რეალობას ასახავს?**

– ხშირ შემთხვევაში, ვირტუალურად ზრუნავენ ამ ადამიანების ჯანმრთელობაზე, ვინაიდან ვიმეორებ, ამ ადამიანებმა არ იციან, რა ეკუთვნით, ხომ უნდა გამოვიდნენ და თქვან, რა უფლებებით სარგებლობენ პაციენტები? ამათ შეაკეთეს კონფლიქტის რეგიონებში არსებული ამბულატორიები, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა, რატომ არც ერთხელ არ გვაჩვენეს ტელევიზიით? ეს მე ნამდვილად ვიცი, რომ გააკეთეს, მაგრამ მარტო მე რომ ვიცი და ვლაპარაკობ ამ თემაზე, ეს არაფერს ნიშნავს. გადავირიე ამ ხელისუფლების შემხედვარე, აკეთებენ, არ ლაპარაკობენ და მერე სწყინთ, ტელევიზიები რატომ არ გვაშუქებენო. სამი წლის განმავლობაში აფხაზეთიდან ათასამდე პაციენტი გადმოვიდა თბილისში სამკურნალოდ. ამ ხელისუფლებამ ორი სასწრაფო დახმარების მანქანა ამ ზაფხულს გადასცა აფხაზეთს, ამ მანქანების ფასი არის 120 ათასი ლარი, აღჭურვილია ბოლო ტექნოლოგიებით. თქვე დალოცვილებო, ხომ უნდა გამოხვიდეთ, გააპიაროთ, ხალხს გააგებინოთ, რას აკეთებთ აფხაზებისთვის... ეს რომ სააკაშვილს გაეკეთებინა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავს ატეხდა?..

**— ღარიბაშვილმა განაცხადა, — პოლიციელების დამსახურებაა ის, რომ საქართველო არაერთხელ მოხვდა უსაფრთხო ქვეყნების რიგშიო. რა იგულისხმა პრემიერმა ამ განცხადებაში.**

– კრიმინალური სურათის თვალსაზრისით, არ შეიძლება ადამიანი იყო კმაყოფილი, მაგრამ ნახეთ, რა მოხდა აბსოლუტურად უსაფრთხო ქვეყანაში, როგორიც არის კანადა, პარლამენტში შევარდა ტერორისტი.

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*



**„ეს გზავნილი აუცილებლად დაილექება და სწორად იქნება შეფასებული. სხვათა შორის, მე უკვე მომწერა ერთმა ჩვენმა აფხაზმა კოლეგამ, ღარიბაშვილმა მიზანში გაარტყაო... არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება, გარდა იმისა, რომ ეს იყო საჭირო და დროული გზავნილიც, თუმცა ასეთი ტიპის განცხადებას ხელისუფლების მხრიდან აფხაზები კარგა ხანია ელოდებიან. ახლა საჭიროა შემდეგი ნაბიჯები“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ღარიბაშვილი უშიშროების საბჭოს სხდომას დაესწრება



უშიშროების საბჭოს სხდომა 28 ოქტომბერს 18:00 საათზე გაიმართება.

„საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის კონსულტაციები გაიმართა, სადაც გადაწყდა, რომ უშიშროების საბჭოს სხდომა 28 ოქტომბერს, 18:00 საათზე გაიმართება. სხდომა პრეზიდენტის რეზიდენციის ადმინისტრაციულ ნაწილში ჩატარდება. ვინაიდან უშიშროების საბჭოს აპარატი გადმობარგების პროცესშია. მომავალშიც, უშიშროების საბჭოს სხდომები პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართება. პრემიერ-მინისტრი და ყველა ის მინისტრი, რომელიც არის საქართველოში, რა თქმა უნდა, სხდომას დაესწრება“, – განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივანმა იმერლიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „პრემიერი წარსულშია ჩარჩენილი და სიძულვილის ენით საუბრობს“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი მიხეილ მაჭავარიანი პრემიერ-მინისტრის გამოსვლას ეხმაურება, სადაც ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობაში ყოფნის ორი წელი შეაფასა.

„იმედგაცრუებული ვარ და სიმართლე გითხრათ, მეტს არც ველოდი. როგორც ჩანს, ჩვენი მთავრობა და პრემიერი წარსულიდან ვერ გამოდიან. ამდენი ჩვენ არ გვილაპარაკია, თუ რა მემკვიდრეობა მივიღეთ შევარდნაძის ხელისუფლებისგან, იმ ხალხისგან მათ შორის, ვინც ახლა პრემიერ-მინისტრს გულში ჰყავს. ირაკლი ღარიბაშვილი საუბრობდა ჩვენ მიერ გაკეთებულ ავტობანებზე და ჩვენ იცით ამასთან დაკავშირებით რა პერსპექტივები გვქონდა. ის საუბრობდა დასაქმებაზე და ჩვენ საიდან დავიწყეთ, საუბრობდა ელექტრიფიკაციაზე რამდენიმე სოფლის და როდესაც ჩვენ მოვედით მთელი ქვეყანა ჩაბნელებული იყო. საუბრობდა პოლიციაზე და ჩვენ პოლიცია კი არ გვყავდა, გზაზე გავარდნილი ყაჩაღები დადიოდნენ. მათ ჩაიბარეს ქვეყანა, რომელსაც ბევრი პერსპექტივა ჰქონდა და რეგიონში რეფორმატორი იყო. იმის მაგივრად, რომ წარსულთან ბრძოლას თავი დაანებოს და მომავალზე იფიქროს, პრემიერი ჩარჩენილია წარსულში. ხალხი მშვენივრად ხედავს, რომ რეალურად ეს მთავრობა არაფერს არ აკეთებს. ამ მთავრობას პერსპექტივა არ აქვს. მთავრობა, რომელიც ჩარჩენილია წარსულში და სიძულვილის ენით საუბრობენ, რა უნდა ვესაუბროთ მათ“, – განაცხადა მაჭავარიანმა.

დეპუტატი, ასევე, პრემიერის იმ განცხადებას ეხმაურება, სადაც ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილს კომფორტს კიდევ უფრო მეტად დაურღვევს.

„მგონი, მიხეილ სააკაშვილის ბოლო გამოსვლამ, რომელიც კონცენტრირებული იყო იმაზე, თუ რა სჭირდება ქვეყანას, რას ჰქვია მყუდროება დაურღვია. სააკაშვილი მუშაობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც ხედავთ თავისუფლად გადაადგილდება ის. ორი ქვეყანაა, სადაც ყოფილი პრეზიდენტი ვერ ჩადის. ეს არის საქართველო და რუსეთი“, – განაცხადა მაჭავარიანმა. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

მე მინდა, რომ შევედარო კარგ ქვეყნებს, დანიას, შვედეთს, შვეიცარიას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიციას ამის გამო მადლობელი გადავუხადო, ამას წინათ, ოთხი ყოფილი პოლიციელი დააკავეს ბავშვის გატაცების გამო, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ არსებობს მე-5 კოლონა, ვგრძნობ, რომ შესაბამის დავალებებს აძლევენ ისინი რიგით პოლიციელებს, რომ რაც შეიძლება მკაცრად გაუსწორდნენ უბრალო ადამიანებს. ვიღაც მართავს სიტუაციას სათავისოდ იმისთვის, რომ ხალხი გააღიზიანოს და აამხედროს ხელისუფლების წინააღმდეგ. მე-5 კოლონა აღმოსაფხვრელია, ამას მე უკვე დიდი ხანია ვლაპარაკობ, კრიმინალური მდგომარეობა ხელიდან არ უნდა დაუსხლტეთ, ზოგ შემთხვევაში შეიმჩნევა, რომ აქა-იქ პროცესები ხელიდან სხლტება. მკვლელობები და თავდასხმები, სამწუხაროდ, ყველა ქვეყანაში ხდება, მაგრამ არ მინდა, რომ ამას ჩვენს ქვეყანაში სისტემატური ხასიათი ჰქონდეს და ამიტომ, პოლიცია უფრო მეტად ორიენტირებული უნდა იყოს ამ პრობლემაზე და რაც შეიძლება მეტი პრევენცია გაატაროს. ზოგ შემთხვევაში, ხელოვნურად მართული სიტუაციაა, რომ დაიძაბოს კრიმინალური ფონი, მაგრამ საბოლოო ჯამში უარყოფით სურათს ვიღებთ.

**— ღარიბაშვილის გამოსვლაში იყო ნათქვამი, რომ ჩვენ სააკაშვილს კომფორტი დავურღვიეთ, კიდევ უფრო მეტად დავურღვევთ ამ კომფორტს. მართალია, ის საუბრობს იმაზე, რომ სააკაშვილმა 600 მილიონი დოლარი გადაიხადა საკუთარი სასახლის მოსაწყობად, მაშინ, როცა მას შეეძლო, ეს ფული ხალხისთვის მოეხმარებინა, მაგრამ ღარიბაშვილის ნათქვამის ქვეტექსტი რა არის? სახელმწიფო სამართლიანობის აღდგენის პროცესში თანმიმდევრული არ არის, შეძლებენ სააკაშვილის დაკავებას, რომელიც ღიად აანონსებს რევოლუციას?**

– რასაკვირველია, ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენის პროცესში არ არის თანმიმდევრული, ხანდახან ბავშვურიც კი არის ჩვენი ხელისუფლება ამ თვალსაზრისით, როცა იცი, რომ დღეს სახელმწიფოში არსებობს ბიზნესები, საიდანაც კეზერაშვილს შესდის ფული, იქ რომელ კომფორტის დარღვევაზეა ლაპარაკი, ეს ხომ ხალხმა იცის? თქვენმა გაზეთმა ორშაბათის „ქრონიკაში“ გამოაქვეყნა იმ ფირმების სია, რომელიც დღესაც კეზერაშვილზე მუშაობს. ხალხი მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია და როცა ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენაზე ლაპარაკობს, ხალხს ეცინება. წართმეული ფულით შექმნილი ბიზნესების მუშაობა უნდა მოშალო პირველ რიგში, როცა ამას არ აკეთებ, სააკაშვილისთვის რომელი კომფორტის დარღვევაზეა ლაპარაკი, გადასარევად, კომფორტულად გრძნობს თავს, ხან თურქეთიდან მოადგება საქართველოს და ხან აზერბაიჯანიდან, სადაც ხვდება თავის თანამოაზრეებს, ამდენ მოგზაურობას ხომ



**„წართმეული ფულით შექმნილი ბიზნესების მუშაობა უნდა მოშალო პირველ რიგში, როცა ამას არ აკეთებ, სააკაშვილისთვის რომელი კომფორტის დარღვევაზეა ლაპარაკი, გადასარევად, კომფორტულად გრძნობს თავს, ხან თურქეთიდან მოადგება საქართველოს და ხან აზერბაიჯანიდან, სადაც ხვდება თავის თანამოაზრეებს, ამდენ მოგზაურობას ხომ სჭირდება ფული?..“**

სჭირდება ფული?.. ჩათვალეთ, რომ დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ხელით ფინანსდება მათი ვოიაჟები აქეთ-იქით... ეს რევოლუციაც ამ ფულით დაფინანსდება, მე მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ სააკაშვილი ვერ მიიღებს დასავლეთიდან დაფინანსებას, ეს ფული ისევ საქართველოდან წავა. ამას ემატება ის ფული, რომელიც კეზერაშვილისა და სხვების მიერ სხვა ქვეყნებში, მაგალითად ალბანეთში, შექმნილი ბიზნესიდან წამოვა. მაგრამ ძირითადად, ეს საქართველოდან წასული ფულია. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ხელისუფლების უზენაესი წარმომადგენელი გამოვიდეს და თქვას, რომ ის სტატია, რომელიც გაზეთ „ქრონიკაში“ გამოქვეყნდა, არის ტყუილი. კეზერაშვილისა და დანარჩენი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა ზოგიერთი ბიზნესი გადაფორმებულია ადამიანებზე, რომლებიც ახლო ურთიერთობებში არიან ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებთან, ისინი არ არიან საქართველოს მოქალაქეები და ეს ადამიანები ითვლებიან დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთ პირთან ძალიან დაახლოებულ ადამიანებად. ამიტომ იმ ბიზნესებში არ ჩანს, რომ ეს არის უშუალოდ კეზერაშვილის, ან „ნაცმოძრაობის“ სხვა რომელიმე წარმომადგენლის კუთვნილება, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ წილი მათთან მიდის?

**— დაბოლოს, ფიქრობ თუ არა, რომ ღარიბაშვილის ამ გამოსვლას ექნება დინამიკური გაგრძელება და ჩვენ ვნახავთ უფრო მეტ შედეგს?**

– საბოლოო რეზიუმე არის ის, რომ პრემიერის ეს გამოსვლა იყო საჭირო, მინდა ვიფიქრო, რომ ხალხთან კომუნიკაციის მიდგომა შეიცვალა, მინდა ასე ვიფიქრო, რომ ხვალიდან დაიწყება ახალი მიდგომები და ხალხი უფრო ინფორმირებული გახდება, რა გააკეთა ხელისუფლებამ და რა ეკუთვნის ხალხს... აქვე გეტყვით, რომ დღეს გაიმართება უშიშროების საბჭო, რომელსაც დაესწრება პრემიერ-მინისტრი, ეს არის ძალიან კარგი ფაქტი, ხომ უნდა დასრულდეს პრემიერსა და პრეზიდენტს შორის დაპირისპირება, ხალხი დეზორიენტირებულია, ჩვეულებრივი მოქალაქე ფიქრობს, რა მოუვიდათ ამ ადამიანებს, რატომ არიან დაპირისპირებულები, რატომ ასხამენ მტრის წისქვილზე წყალს? კინკლაობის ნაცვლად ხელისუფლებას ურჩევნია, სამართლიანობის აღდგენის პროცესში იყოს თანმიმდევრული და ახსოვდეს, რომ ხალხი არასოდეს აპატიებს, არ დაისაჯოს ის პირები, ვინც ამდენ უბედურებაში ამყოფა ეს ხალხი. ხალხი მადლობას იტყვის, მაგრამ აუცილებლად მოსთხოვს პასუხს სამართლიანობის აღდგენაზე.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

# „წყალი მარგებელის“ პროექტი „განათლებული მომავლისთვის“ 2015 წელსაც გაგრძელდება




„წყალი მარგებელის“ პროექტი „განათლებული მომავლისთვის“ 2015 წელსაც გაგრძელდება. პროექტი, რომელიც სოციალურ ხასიათს ატარებს და კონკრეტულად ჩოხატაურის რაიონის მოსწავლეების განვითარებაზეა ორიენტირებული 2014/2015 სასწავლო წლებშიც განხორციელდება.

კომპანია მუნიციპალიტეტიდან ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში, ინგლისური ენის გამოცდაში 3 ყველაზე მაღალი შედეგის მქონე მოსწავლეს დიდ ბრიტანეთში, ორკვირიანი სასწავლო კურსით დააჯილდოებს.

„განათლებული მომავლისთვის“ უკვე მესამე წელია, სტარტს იღებს და მასში წლიდან წლამდე უფრო მეტი მოსწავლე ერთვება.

ეს ჩვეულებრივი მოვლენა ვერ იქნებოდა ჩვენს ცხოვრებაში, რომ არა კომპანია „წყალი მარგებლის“ არაჩვეულებრივი სიურპრიზი – წარმატებული მოსწავლეები დიდ ბრიტანეთში საზაფხულო სკოლაში გაგვიშვა და სწავლის, მოგზაურობის ყველა ხარჯი თავად გადაიხადა...“ – იხსენებენ 2014 წელს ბრიტანეთიდან დაბრუნებული წარჩინებული მოსწავლეები.

**— პროექტი „განათლებული მომავლისთვის“ უკვე მესამე წელია, ტარდება და უკვე „წყალი მარგებელის“ სოციალური მიმართულების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ვინაიდან ინგლისური ენის მაღალ დონეზე დაუფლება ძალზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში პიროვნების თვითრეალიზებისთვის და საკუთარი უნარების უკეთ წარმოჩენისთვის, გადავწყვიტეთ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის თანაბარი შესაძლებლობა მიგვეცა, ამ მხრივ ემუშავათ, ესწავლათ და წარმოეჩინათ თავი. შესაბამისად, მიმდინარე სასწავლო წელსაც, ჩოხატაურის რაიონის მოსწავლეებს, ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის საშუალებით შესაძლებლობა ექნებათ, მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი ცოდნა, რაც მომავალში შესაძლებლობას მისცემთ, გაემგზავრონ დიდ ბრიტანეთში ინგლისური ენის დონის ასამაღლებელ კურსებზე. მოვუწოდებთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებულ სკოლებს, მასწავლებლებს, მშობლებს და, რა თქმა უნდა, მოსწავლეებს, დღეიდანვე დაიწყონ მომზადება ეროვნული სასწავლო ოლიმპიადისთვის, რათა მომავალში უფრო მეტი შანსი ჰქონდეთ პროექტში გამარჯვებისთვის. კომპანიის სახელით კი ყველა მათგანს წარმატებას ვუსურვებთ,** — აცხადებს კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი **ვიქტორია ჟიჟკო.**

# ნაბეღლავის მიერ ორგანიზებული ფოტოკონკურსი „მიქსტერია“ დასრულდა

„ნაბეღლავის“ მიერ ორგანიზებული ფოტოკონკურსი „მიქსტერია“ 13 ოქტომბერს ოფიციალურად დასრულდა. კონკურსი 3 კვირის განმავლობაში, კომპანიის ოფიციალურ „ფეისბუკის“ გვერდზე მიმდინარეობდა. კონკურსანტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, შესაბამის ელექტრონულ მისამართზე, თავისი ხედვებისა და ფანტაზიის შესაბამისად შექმნილი კოქტეილის ფოტო გამოეგზავნათ, რომლის აუცილებელი ინგრედიენტიც ნაბეღლავის მინერალური წყალი იქნებოდა.



საბოლოოდ 3-კვირიანი შეჯიბრის შედეგად კონკურსში 36-მდე ნამუშევარი შემოვიდა, მათგან კი ჟიურის მოწონება ოთო გორდელაძისა და ზურაბ ლოლაძის ნამუშევრებმა დაიმსახურა.



**— ფოტოკონკურსი წამახალისებელ სახეს ატარებდა, „ნაბეღლავი“ აქამდეც ხშირად გამოიყენებოდა სხვადასხვა ბარმენების მიერ კოქტეილების მომზადების პროცესში და გადავწყვიტეთ, ამ ყველაფერში ჩვენი პროდუქციის რიგითი მომხმარებლებიც ჩაგვერთო. ყველას თავისი გემოვნების მიხედვით შეეძლო გამოეყენებინა მინერალური წყალი და, შესაბამისად, კრეატიულად გაფორმებული ფოტო გამოეგზავნა ჩვენს ელექტრონულ მისამართზე. გვინდა კომპანიის სახელით გამარჯვებულებს მივულოცოთ, ხოლო ყველა სხვა მონაწილეს მადლობა გადავუხადოთ კონკურსში მონაწილეობისთვის. „ნაბეღლავი“ მომავალშიც აუცილებლად ჩაატარებს სხვა მსგავსი სახის კონკურსებს, რომლებსაც უფრო მასშტაბური ხასიათი ექნება,** — აცხადებს კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი **ვიქტორია ჟიჟკო.**

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




# ვალერი გელბახიანი: „ჩვენ ნუ ვუყურებთ სააკაშვილს, რომ ვიღაც გიჟი ყბედი დადის და აფრქვევს თავის აზრებს“

**რა მზაკვრული გეგმები იმალება „ნაციონალების“ დაანონსებული აქციის მიღმა?**
**რა შემთხვევაში დაუფინანსებს დასავლეთი სააკაშვილს რევოლუციას?**
**რატომ აწყობს აზერბაიჯანს ხელისუფლებაში სააკაშვილის დაბრუნება?**
**რა უნდა გააკეთოს 15 ნოემბრამდე მარგველაშვილმა აუცილებლად?**

„ნაციონალურო მოძრაობა“ დიდ სამზადისშია. რა იმალება 15 ნოემბერს დაანონსებული აქციის მიღმა? იყო თუ არა რევოლუციური მოწოდებები სააკაშვილის მხრიდან, როცა ის აცხადებდა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ვერ მოიცდის, „მაგრამ მანამდე ქვეყანა ჩამოიშლება, ამიტომ ხმა ახლავე უნდა ამოვიღოთ“. „ნაციონალური მოძრაობა“ „ნიჩურტებით“ გააპროტესტებს რუსეთსა და აფხაზეთს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმებას. დავით ბაქრაძე, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მოსახლეობას მოუწოდებდა დანებით და ჩანგლებით საკუთარი თავის დაცვას, დღეს ხალხს მოუწოდებს, 15 ნოემბერს აქციაზე ვაჩვენოთ, რომ ქართველები ქვეყანას ვიცავთო. ბატონ დავით ბაქრაძესა და სრულიად „ნაციონალურ მოძრაობას“ შევახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მკაცრად აფრთხილებდა ხელისუფლებას, რომ არ წამოგებულიყვნენ რუსეთის სამხედრო პროვოკაციას.

ამ ძალის მხრიდან რაიმე ტიპის პროტესტი ასეთ თემებზე, თუნდაც ნებისმიერ საჭირბოროტო საკითხზე იწვევს ძალიან დიდ გაღიზიანებას, მათ შეიძლება ჰქონდეთ პოლიტიკური უფლება, მაგრამ არა აქვთ მორალური უფლება, იმ მოედანზე ჩაატარონ საპროტესტო აქციები, სადაც თავის დროზე განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს უმოწყალოდ სცემდნენ, სისხლში აბანავებდნენ, ასახიჩრებდნენ და ხოცავდნენ. იმ ფონზე, როცა მიმდინარეობს საიდუმლო შეხვედრები თურქეთის ტერიტორიაზე თუ აზერბაიჯანში, სადაც მიხეილ სააკაშვილი ინსტრუქტაჟს უტარებს ექსტრემისტულ დაჯგუფებებს; როცა შინაგან საქმეთა მინისტრი ოფიციალურად აცხადებს, რომ მათ აქვთ ოპერატიული ინფორმაცია, როგორ აპირებდნენ კონკრეტული დაჯგუფებები სახელმწიფოს გადატრიალებას ანტიკონსტიტუციური გზით, რა თქმა უნდა, მიამიტობაა იფიქრო, რომ „ნაცმოძრაობას“ გული შესტკივა ქვეყანაზე და მათში პატრიოტულმა სულისკვეთებამ გაიღვიძა. ძალიან ხშირად, ხომ პატრიოტიზმი ნაძირალების თავშესაფარია. პატრიოტიზმის ნიღაბს ამოფარებულები სამი დღის განმავლობაში, 18, 19 და 20 ოქტომბერს, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდნენ ლაგოდეხის საზღვართან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, კონკრეტულად ბელაქანის რაიონის ერთ-ერთ სასტუმროში. რადიო „ჰერეთის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, სააკაშვილი ამ პერიოდის განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს ხვდებოდა, კონკრეტულად კი შეხვედრაზე 15-მდე ლიდერი იმყოფებოდა, მათ შორის სახელდებიან ნუგზარ წიკლაური, მიხეილ მაჭავარიანი და გიგა ბოკერია. არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ ინფორმაციით, ბაქოში ასევე იმყოფებოდნენ „თავისუფალი ზონის“ ექსტრემისტული დაჯგუფების ლიდერები. ამ შეხვედრაზე სააკაშვილმა ექსტრემისტებს ღიად განუცხადა, რომ აუცილებელია საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის ესკალაცია, პროვოკაციის მოწყობა, რელიგიურ და სოციალურ ნიადაგზე დაძაბულობა. მან „თავისუფალი ზონის“ ლიდერებს კიდეც უსაყვედურა, ამ მოძრაობაში მან ჩადო კოლოსალური თანხა და სანაცვლოდ ვერაფერს იღებს. „ნაციონალური მოძრაობის“ პროვოკაციული ქმედებები მცირე აქციებით დაიწყება, ცხადია, დაძაბულობის ტემპერატურა ყველა შემთხვევაში აიწევს, რადგან აუცილებლად გამოჩნდებიან სააკაშვილის რეჟიმისგან გაუბედურებული ადამიანები, რომლებიც მოინდომებენ საკუთარი ღირსების აღდგენას.

საინტერესოა, როგორ მოახერხებს ხელისუფლება ესკალაციების აღკვეთას. 15 ნოემბრიდან 23 ნოემბრამდე ძალოვანი სტრუქტურა დიდი გამოწვევის წინაშე იდგება, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ მიზანია, აქციების პიკი აწიონ „ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე, 23 ნოემბერს უნდა მოხდეს მთელი „ნაცმოძრაობის“ მობილიზება საქართველოს მასშტაბით, აპირებენ ხალხის რაიონებიდან ჩამოყვანას, შექმნილია ჯგუფები, რომლებიც მიზანმიმართულ პროვოკაციაზე წავლენ. სააკაშვილის დავალებით, ეს დღეები უნდა გახდეს არეულობის დაწყების საბაბი.

ყოფილი დეპუტატი, ექსპერტი ვალერი გელბახიანი „ქრონიკასთან“ ინტერვიუში აცხადებდა, რომ მიხეილ სააკაშვილი რევოლუციური გზით წასვლას აპირებს. „თუ ჰგონია, რომ ბიძინა ივანიშვილს აქვს მხოლოდ ფული, ძალიან ცდება. დასავლეთში არსებობენ ძალები, რომლებიც გამოყოფენ რევოლუციისთვის საკმარის თანხას, რათა სააკაშვილმა საქართველოში მეორე რევოლუცია განახორციელოს...“

**რა ინფორმაცია იმალება ამ განცხადების მიღმა და დღეს როგორ წარმოუდგენია პროცესების განვითარება?**

**„ალიას“ კითხვებს ვალერი გელბახიანი პასუხობს:**

– თემა არის ძალიან აქტუალური და ძალიან მნიშვნელოვანი, ამ თემის იგნორირება და წაყრუება არც სახელმწიფოს ინტერესებს არგებს და არც ქართველი ხალხისას. რა თქმა უნდა, „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს მორალური უფლება, ტერიტორიული მთლიანობის საკითხებზე ილაპარაკონ, მათ მთელი რიგი ბრალეულობა მიუძღვით იმაში, რომ ჩვენ ახალი ტერიტორიები დავკარგეთ და მათ მისცეს საშუალება, დე ფაქტო სტატუსიდან დე იურეში გადაეყვანათ აფხაზეთის საკითხი. მაგრამ ახლა ნახეთ, რა ხდება, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაანონსებულ პროცესში არ მიიღებს მონაწილეობას ქართველი საზოგადოება, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ქართულ სახელმწიფოს და საზოგადოებას არ აინტერესებს აფხაზეთისა და რუსეთის ურთიერთობის განვითარების ახალი ეტაპი, მათ არ აწუხებს საქართველოს ბედი და სულ ერთია, რა მოხდება. ეს იქნება კატასტროფა. ამიტომ, რომ გამოვრიცხოთ „ნაციონალების“ მიერ ინიცირებული საკითხი და ქართველი ხალხის პოზიტიური თუ არაპოზიტიური აზრის გამოხატვა, საჭიროა, რომ სახელმწიფომ დაასწროს „ნაციონალურ მოძრაობას“ და მან გამოთქვას თავისი პოზიცია, ეთანხმება თუ არა რუსეთსა და აფხაზეთს შორის მიმდინარე პროცესს. 28 ოქტომბერს, ზუსტად ამ საკითხზე დანიშნულია უშიშროების საბჭოს სხდომა, თქვენი გაზეთის საშუალებით ვურჩევდი პრეზიდენტ მარგველაშვილს, რომ იქნება გამოცხადდეს აქციის დღე და ამ აქციაში ქართველმა ხალხმა გამოხატოს ერთსულოვნება, რომ სანამ ჩვენ ქართველები გვქვია, არასოდეს არ შევეგუებით, რომ ასეთი ფორმით გრძელდებოდეს ანექსირებული ტერიტორიების დაკანონება. ასეთი დღე ან აქცია რომ გამოაცხადოს მარგველაშვილმა, ქართველი ხალხი აუცილებლად მივა და ამით დაფიქსირდება, რომ ქართველი ხალხი მხარს არ უჭერს რუსეთ-აფხაზეთს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმებას, რომ ეს ხელს უშლის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მაგრამ, თუკი ისე მოხდება, რომ ბურთი და მოედანი დარჩებათ „ნაციონალებს“, რა თქმა უნდა, მაშინ ამ თემაზე კითხვები გაჩნდება. პასუხისმგებლიანი ხელისუფლება თუ ეგუება იმას, რაც ახლა აფხაზეთსა და რუსეთს შორის მიმდინარეობს, მაშინ ხალხი იფიქრებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მართალი ყოფილა. ეს კითხვა არ უნდა დატოვოს ხელისუფლებამ, პირიქით, კონტრაქცია უნდა დაიგეგმოს, რათა გადაიფაროს ყოველგვარი ინიციატივები „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან. ამას



**„რომ გამოვრიცხოთ „ნაციონალების“ მიერ ინიცირებული საკითხი და ქართველი ხალხის პოზიტიური თუ არაპოზიტიური აზრის გამოხატვა, საჭიროა, რომ სახელმწიფომ დაასწროს „ნაციონალურ მოძრაობას“ და მან გამოთქვას თავისი პოზიცია ეთანხმება თუ არა, რუსეთსა და აფხაზეთს შორის მიმდინარე პროცესს. 28 ოქტომბერს, ზუსტად ამ საკითხზე დანიშნულია უშიშროების საბჭოს სხდომა, თქვენი გაზეთის საშუალებით ვურჩევდი პრეზიდენტ მარგველაშვილს, რომ იქნება გამოცხადდეს აქციის დღე და ამ აქციაში ქართველმა ხალხმა გამოხატოს ერთსულოვნება“**

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## 15 ნოემბრის აქციამდე, „ნაციონალები“ 6 ნოემბერსაც გამართავენ აქციას“

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის დიმიტრი ლორთქიფანიძის ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 15 ნოემბერს დაანონსებულ აქციამდე, სხვა აქციაც იგეგმება, რომელიც 6 ნოემბერს გაიმართება.

„ეს აქცია არ წარიმართება ქუჩაში, წარიმართება ერთ-ერთ ოფისში, სადაც „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცდება, იყოს ლიდერი იმ მოსაზრებაში, რომ ვინც ჩვენთან არ არის – არის ჩვენი მტერი!“ – აღნიშნა ლორთქიფანიძემ.

„ლაპარაკია პროდასავლური, ნატოს მიმართ ერთგულების ნიშნით გამოკვეთილ პოლიტიკურ ძალებზე, რაც იქნება საბაბი იმისა, რომ ბევრი ე.წ. არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები დადგებიან „ნაციონალური მოძრაობის“ გვერდით. არ დავასახელებ იმ პარტიებს, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ გვერდზე დადგებიან, რადგან თვითონ პროცესი მოახდენს მათ ლუსტრაციას“, – დასძინა ლორთქიფანიძემ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ძლიერმა ქარმა საცხოვრებელი კორპუსი სახურავის გარეშე დატოვა



ძლიერმა ქარმა ქუთაისში, ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი სახურავის გარეშე დატოვა. ქარმა კორპუსს, სახურავის გარდა, ხის ის კონსტრუქციაც გადახადა, რომელიც სახურავს იმაგრებს. კორპუსის მცხოვრებლები ადგილობრივი ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ.

ძლიერი ქარის მიზეზით, ქუთაისში, ქალაქის პოლიციის №3 განყოფილების უკან მდებარე თივის საწყობს ცეცხლი გაუჩნდა. ხანძრის ლოკალიზება ქალაქის მერიის სახანძრო-სამაშველო სამსახურმა მოახდინა. სამსახურის უფროსი ნიკოლოზ კოლუაშვილი აცხადებს, რომ ძლიერმა ქარმა ქალაქში ხეები წააქცია. ასევე, სამსახურში შევიდა გამოძახებები საკვამურზე ცეცხლის წაკიდების შემთხვევებზეც. (news.ge)

*მეშვიდე გვერდიდან*

გარდა, ხელისუფლება უნდა ჩავიდეს რუსეთში, დაიწყონ მოლაპარაკებები, თუ რუსეთში არ უნდათ ჩასვლა, ჩაბრძანდნენ ერევანში, გნებავთ, ნიუ-იორკში, ოღონდ რამენაირად შეაჩერონ პროცესი. თუ პროცესს მოლაპარაკებებით ვერ აჩერებ, მაშინ ხალხის მხარდაჭერის ღონისძიებებს უნდა მიმართონ, უნდა გამართონ აქციები, რაც მსოფლიოს დაანახებს, რომ ქართველი მოსახლეობა ამ საკითხში ერთსულოვანია.

**— ფიქრობთ თუ არა, რომ „ნაციონალების“ დაანონსებული აქციის მიღმა მზაკვრული გეგმებია? ისინი უხმობენ არასაპარლამენტო ოპოზიციას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მათი ფულით ფინანსდებიან. მსურველები უკვე გამოჩნდნენ, „ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა“, „ევროპელი დემოკრატები“, „ახალი რეფორმატორები“, სხვათა შორის, „ახალმა მემარჯვენეებმა“ პირველებმა გამოთქვეს მხარდაჭერის სურვილი, თუმცა ასევე პირველებმა განაცხადეს, რომ 15 ნოემბერს „ნაციონალების“ მიერ დაანონსებულ აქციას აღარ უერთდებიან. ფარისევლობა და პარტიული ლუსტრაცია დაწყებულია. თუკი აქციაზე ხალხი მივა, ეს ნიშნავს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელ-ფეხი გაეხსნება და მსოფლიოს დაანახებენ, რომ მათ გვერდით კვლავ დგას საზოგადოება?**

– ამიტომ, რომ გამოვრიცხოთ იმის დემონსტრირება, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ამ თემით აპირებს, მთავრობამ კონტრღონისძიება უნდა ჩაატაროს, მაგრამ თუკი „ნაციონალები“ თავიანთ ნებაზე მიუშვეს, როგორც წესი, მოხდება ის, რასაც თქვენ ვარაუდობთ. ქვეყნის გარეთ აღარავინ დაიწყებს იმის გარჩევას, ეს პოლიტიკური ძალები მიშას სატელიტები არიან, მისი ფულით დაფინანსებული პოლიტიკური ძალაა, თუ არა. ხუთი-ექვსი პარტია როცა მონაწილეობს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხზე და პროტესტის ნიშნად უერთდება აქციებს, ეს ნიშნავს, რომ ისინი ქართული საზოგადოების აზრს გამოხატავენ. რატომ უნდა მივანიჭოთ ეს სიამოვნება „ნაცმოძრაობას“?.. თუ „ოცნება“ კონტრაქციას არ გააკეთებს, მე მოვუწოდებ ბურჯანაძეს, „ლეიბორისტებს“, „კონსერვატორებს“, მათ მაინც გადაფარონ „ნაციონალების“ აქცია, ნუ მისცემთ ბურთსა და მოედანს „ნაცმოძრაობას“... 100%-ით დარწმუნებული ვარ, თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ შეძლებს სხვადასხვა პოლიტიკური ძალების შემოკრებას, იცოდეთ, ეს მათთვის ძალიან დიდი გამარჯვება იქნება. ეს ნიშნავს, რომ „ნაციონალები“ მარტო აღარ არიან.

**— თქვენ ინტერვიუში კონტრშეკითხვა დამისვით და განაცხადეთ, როგორ ფიქრობთ, რამდენი ადამიანი სჭირდება რევოლუციის მოწყობას? მითხარით, რომ რევოლუციის მოსაწყობად რამდენიმე ასეული ადამიანიც საკმარისია და განაცხადეთ, ნუ ჰგონია ბიძინა ივანიშვილს, რომ მარტო მას აქვს ფული. გაითვალისწინოს, რომ დასავლეთში არიან ძალები, რომლებიც აფინანსებენ რევოლუციებს და სწორედ ისინი დააფინანსებენ სააკაშვილს... უფრო დეტალურად გვითხარით, კონკრეტული ინფორმაცია გაქვთ, ვინ აფინანსებს სააკაშვილს?**

– არის ფარული და ღია არხები, რომლებიც ამით არიან დაინტერესებულნი... უკრაინის პროცესი კიევში დაიწყო ასკაციანი აქციით. ამ პროცესს შემდეგ იმდენი დამფინანსებელი გამოუჩნდა, რომ რევოლუცია მოხდა. თქვენ რა გგონიათ, „ვარდების რევოლუცია“ სააკაშვილმა თავისი ჯიბიდან დააფინანსა? „ვარდების რევოლუციას“ რამდენიმე წყარო ჰყავდა, რევოლუციის დაფინანსებაში მონაწილეობდნენ სახელმწიფოები და კონკრეტული პიროვნებები. მათ შორის, როგორც მოგვიანებით გავიგე, „ვარდების რევოლუციის“ დაფინანსებაში ბიძინა ივანიშვილიც მონაწილეობდა. თვითონ განაცხადა, რომ „ვარდების რევოლუცია“ მისი დაფინანსებულია. აქედან გამომდინარე, თუ რაღაც დინებებს შორის კვეთაა და კერძოდ, თუ მართალია ის ვერსია, რომ მოქმედი ხელისუფლების ინტერესები ემთხვევა რუსეთის ინტერესებს, გარწმუნებთ, ეს თუ დადასტურდა, დასავლეთში გამოჩნდებიან ქვეყნები, საფინანსო და პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც ძალიან დიდ ფინანსურ რესურსს გამოყოფენ საქართველოში ახალი რევოლუციისთვის.

**— თქვენი ინფორმაციით, დასავლეთი ეჭვობს, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლებისა და რუსეთის ინტერესები იკვეთება?**

– არა, თუმცა ერთი რამ ფაქტია, რომ რუსეთისა და ამერიკის ინტერესების წყალგამყოფი კავკასიაში არის საქართველო. საქართველოს ხვალინდელი დღე განმსაზღვრელია როგორც რუსეთისთვის, ასევე ამერიკისთვის. ამიტომ, აქ საკითხი ასე დადგება, რა უნდა წამყვან ქვეყანას? ვის რა რესურსები აქვს იმისთვის, რომ ქვეყნის შიგნით მართოს პროცესები... პროცესები რომ ფულით იმართება, ეს ჩვენ ბევრჯერ ვნახეთ, მაგრამ ფულის გარდა, არსებობს პოლიტიკური პროცესები, რომელიც იდეოლოგიასა და საგარეო პოლიტიკაზეა მიმართული. თუ პროცესებში დასავლეთი ჩაერთო თავისი ინტერესების დასაცავად, აქ უკვე ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ერთი ადამიანის ფული ეყოფა ამ პროცესების შეჩერებას. ამიტომ, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილი უნდა იყოს ძალიან ფრთხილად და ასევე, ხელისუფლება... ხელისუფლება „ნაციონალური მოძრაობის“ გათიშვას უნდა ცდილობდეს, თუკი „ნაციონალები“ შეძლებენ აქციების გამართვას, მაშინ გიმეორებთ, რომ ესკალაცია გარდაუვალი იქნება. თუკი დასავლეთი დაინახავს, რომ რუსეთთან ბრძოლაში „ნაციონალებს“ მხარდამჭერები გამოუჩნდებათ, აუცილებლად წამოვა ფინანსები დასავლეთიდან და რა ტიპის რევოლუციაც არ უნდა იყოს, დასავლეთი ამას „გააპრავებს“.

**— მიხეილ სააკაშვილმა ღიად განაცხადა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს ვერ დაელოდება, მანამდე ქვეყანა ჩამოიშლება და ხმა ახლა უნდა ამოვიღოთო... ეს ნიშნავს თუ არა რევოლუციის დაანონსებას? აქვე ჩაგეკითხებით, სააკაშვილის ამ განცხადებას წინ უძღოდა აზერბაიჯანში თავის პოლიტიკურ ჯგუფებთან შეხვედრა და კონკრეტული დავალებების გაცემა, როგორ უნდა მოახდინონ სიტუაციის ესკალაცია. რატომ აირჩია აზერბაიჯანი სააკაშვილმა საიდუმლო სერობის ადგილად?**

– კავკასიაში ყველაზე მდიდარი და გავლენიანი სახელმწიფო არის აზერბაიჯანი, რომელსაც ისეთი ბუნებრივი რესურსები აქვს, რომ საერთაშორისო მოთხოვნების ქვეშ არის. როდესაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, აზერბაიჯანმა სერიოზული მოთამაშე დაკარგა რუსეთთან თავისი საქმეების დასალაგებლად. აზერბაიჯანს დღეს აწყობს, რომ საქართველო იყოს ანტირუსული მოთამაშე კავკასიურ სივრცეში, რადგან მას ეძლევა შესაძლებლობა, რუსეთს კარგად ევაჭროს და ამერიკელებთანაც კარგად ივაჭროს. როდესაც საქართველოში ანტირუსული ხელისუფლებაა, რა თქმა უნდა, რუსეთს პრობლემები უჩნდება დანარჩენ რესპუბლიკებთან. ამ პრობლემის რეგულაციაში საქართველო იყო ყოველთვის სავაჭრო თემა, ახლა აზერბაიჯანს ასეთი სასურველი პარტნიორი დაეკარგა საქართველოში. ეს ნიშნავს, რომ აზერბაიჯანს სამომავლოდ გაუჭირდება რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, მას გაუჩნდა საფრთხე, აზერბაიჯანმა დაკარგა სააკაშვილის ხელისუფლება და გაუჩნდა ეგრევე საფრთხე რუსეთთან. ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, რომ აზერბაიჯანი თავისი სახელმწიფო ინტერესების გადასარჩენად ყოველთვის შეეცდება, საქართველოში ჰყავდეს ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ექნება ანტირუსული ხასიათი. ამიტომ, შეუწყობს ხელს ისეთი პოლიტიკური ძალების მოსვლას საქართველოში, რომლებიც ამ ანტირუსულ პოლიტიკას გააგრძელებენ. ნუ გაგიკვირდებათ, რომ ალიევის ხელისუფლება სააკაშვილს შეხვედრებს უწყობს, დარწმუნებული იყავით, ყველანაირად დაეხმარება, რომ საქართველოში ანტირუსული ძალა მოვიდეს. შევხედოთ საკითხს ობიექტურად, ვის რა ინტერესი ამოძრავებს. რატომ არ ხვდება სააკაშვილი სომხეთში თავის მოკავშირეებს, სომხებს ასეთი კოზირი სულაც არ სჭირდებათ რუსეთთან ურთიერთობაში, პირიქით, მათ სიმდიდრე არ გააჩნიათ და რუსეთზე არიან ჩამოკიდებული. აქ უკვე ძალიან მალე ყაზახეთს, თურქმენეთსა და სხვა აზიურ რესპუბლიკებს გაუჩნდებათ იგივენაირი სურვილები, რადგან მათი ურთიერთობა რუსეთთან ნელ-ნელა დაძაბულ ფაზაში შედის.

**— როგორ ფიქრობთ, კოალიციის შიგნით „ნაცმოძრაობას“ მხარდამჭერები გამოუჩნდება რუსეთთან ბრძოლის პროცესში?**

– „ოცნების“ დაშლის რეალობა ჩვენ გვაქვს სახეზე, ვინ როგორ და საით წავა, ეს იმ რეალობაზე იქნება დამოკიდებული, რაც პოლიტიკურ სიბრტყეზე შეიქმნება. ჩვენ ნუ ვუყურებთ სააკაშვილს, რომ ვიღაც გიჟი ყბედი დადის და აფრქვევს თავის აზრებს, ნუ გავიწყდებათ, რომ ესენი 2002 წლამდე იყვნენ გიჟები, ხელისუფლებაში სერიოზული გამოცდილება მიიღეს, აღარ ვსაუბრობ პოლიტტექნოლოგიებზე, მათ ეს საქმე კარგად იციან, მათ სრული უპირატესობა აქვთ ხელისუფლებასთან პოლიტიკურ ტექნოლოგიებში. ძალიან არ მინდა, მოქმედი ხელისუფლება იყოს კრიტიკის საგანი, ეს ჩემს ინტერესებში არანაირად არ არის, ყველა ჩემი კრიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ გამოფხიზლდნენ, არ დაუშვან ის, რასაც გეგმავს სააკაშვილი. სახელმწიფომ თავისი გზით უნდა იაროს, საქმე აკეთოს, მედიამ კი სააკაშვილი უფრო პოპულარული არ უნდა გახადოს და არ უნდა შეუწყოს ხელი მისი ზრახვების რეალიზაციას. თუ ამ გზით წავალთ, ვერანაირ რევოლუციას ვეღარ მოაწყობს. მოკლედ, სააკაშვილის ყბედობის პარალელურად ხელისუფლება გამოვა ახალი იდეებით, განახორციელებს რეფორმებს, მიშას ხელ-ფეხი შეეკვრება. გარწმუნებთ, რომ თუკი ხელისუფლება იქნება თანმიმდევრული, ქვეყანა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მივა.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22



**„100%-ით დარწმუნებული ვარ, თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ შეძლებს სხვადასხვა პოლიტიკური ძალების შემოკრებას, იცოდეთ, ეს მათთვის ძალიან დიდი გამარჯვება იქნება. ეს ნიშნავს, რომ „ნაციონალები“ მარტო აღარ არიან“**



**„ჩვენ ნუ ვუყურებთ სააკაშვილს, რომ ვიღაც გიჟი ყბედი დადის და აფრქვევს თავის აზრებს, ნუ გავიწყდებათ, რომ ესენი 2002 წლამდე იყვნენ გიჟები, ხელისუფლებაში სერიოზული გამოცდილება მიიღეს, აღარ ვსაუბრობ პოლიტტექნოლოგიებზე, მათ ეს საქმე კარგად იციან, მათ სრული უპირატესობა აქვთ ხელისუფლებასთან პოლიტიკურ ტექნოლოგიებში“**

**„აზერბაიჯანმა დაკარგა სააკაშვილის ხელისუფლება და გაუჩნდა ეგრევე საფრთხე რუსეთთან. ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, რომ აზერბაიჯანი თავისი სახელმწიფო ინტერესების გადასარჩენად ყოველთვის შეეცდება, საქართველოში ჰყავდეს ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ექნება ანტირუსული ხასიათი. ამიტომ, შეუწყობს ხელს ისეთი პოლიტიკური ძალების მოსვლას საქართველოში, რომლებიც ამ ანტირუსულ პოლიტიკას გააგრძელებენ. ნუ გაგიკვირდებათ, რომ ალიევის ხელისუფლება სააკაშვილს შეხვედრებს უწყობს, დარწმუნებული იყავით, ყველანაირად დაეხმარება, რომ საქართველოში ანტირუსული ძალა მოვიდეს“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ორი წლის განმავლობაში „ცე“ ჰეპატიტისგან განიკურნა 173 პატიმარი“



პრემიერ-მინისტრის განცხადებით, პატიმრებისთვის „ცე“ ჰეპატიტის მკურნალობა უფასოა. პროგრამის ფარგლებში უფასოდ იმკურნალებს 1000 მსჯავრდადებული. დღევანდელი მონაცემებით, განიკურნა 173 პატიმარი, გაუმჯობესდა სასჯელის მოხდის პირობები, დაიხვეწა საკანონმდებლო ბაზა და მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, ფუნქციონირება დაიწყო 100-მდე მსჯავრდადებულზე გათვლილმა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებამ 2014 წელს, უკვე დასაქმებულია 112 პირობით მსჯავრდადებული. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის განცხადება უშიშროების საბჭოს სხდომაზე



საქართველოს მთავრობა შეშფოთებულია აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის ე.წ. „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ ხელშეკრულების მოსალოდნელი გაფორმებით.

ე.წ. ხელშეკრულების საკითხის გარშემო გაიმართა არაერთი შეხვედრა, როგორც მთავრობის წევრებს შორის, ასევე უსაფრთხოებისა და კრიზისების საბჭოს ფორმატში. საქართველოს მთავრობის სხვადასხვა უწყებებს, უცხოეთში მოქმედ საქართველოს დიპლომატიურ მისიებს მიეცათ კონკრეტული დავალებები. ინფორმაციები, შემდგომი რეაგირებისთვის, გადაეგზავნათ საქართველოში მოქმედ უცხოურ დიპლომატიურ მისიებს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მთავრობის წევრებთან ერთად, მზად არის, მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი ფორმატის შეხვედრაში, რომელიც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვას დაეთმობა. ამ საკითხზე პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს შორის გაიმართა საუბარი. (ნიუპოსტი)



> კახი კალაძე ხომ ერთ-ერთი იყო „ქართული ოცნებიდან", რომელიც წინასაარჩევნოდ ხალხს საკუთარი ნიჭითა და ცოდნა-გამოცდილებით დასაქმებას ჰპირდებოდა?.. განა რა დამსახურება აქვს მის ცოლისძმას, 23 წლის გიორგი არეშიძეს, რომ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის უფროსის მოადგილედ დანიშნეს? რა გამოცდილება აქვს 23 წლის ბიჭს, რომ 1.5-მილიონიანი ქალაქის მერიაში, ერთდროულად, კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებს რომ გაუძღვეს?

# რა თანამდებობებზე დაინიშნენ კახა კალაძის ცოლისძმა, ცოლის ბიძა და ცოლის დეიდაშვილი?

„ქართული ოცნების" მხრიდან ნეპოტიზმის ფაქტებმა უკვე ამაზრზენი ხასიათი მიიღო. ხელისუფლების სხვადასხვა დონის ლიდერები, საკუთარი ოჯახის წევრების, ნათესავ-მეგობრების სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმების მეტს მართლა არაფერს აკეთებენ. ამასთანავე, უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო პარტიული ნიშნით დასაქმებამ. ახლახან ორგანიზაცია „მონიტორინგის ცენტრი – მედიატორმა" გამოაქვეყნა ნეპოტიზმის ახალი ფაქტები. ამ სიაში ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ლიდერობს. კალაძემ ცოლისძმა გიორგი არეშიძე, თბილისის მერიაში სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურში უფროსის მოადგილედ დანიშნა. ასევე, მისი მეუღლის, ანუკი არეშიძის ბიძა ბესიკ ჭუმბურიძე – დოლიძე-ბახტრიონის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარედ. ვიცე-პრემიერის მეუღლის დეიდაშვილი ლუკა კანკავა კი საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილის თანამდებობას იკავებს. კახი კალაძემ ამ ფაქტებზე ასეთი კომენტარი გააკეთა, – მე მათ დანიშვნაში არანაირი წვლილი არ მიმიძღვის, ჩემი ცოლის ბევრ ნათესავს საერთოდ არ ვიცნობო. ძნელი დასაჯერებელია, რომ კალაძე ამ შემთხვევაში გულწრფელია. მალე შეიძლება ისიც თქვას, არც ჩემს ცოლისძმას ვიცნობო და დავუჯეროთ? კი, მაგრამ კახი კალაძე ხომ ერთ-ერთი იყო „ქართული ოცნებიდან", რომელიც წინასაარჩევნოდ ხალხს საკუთარი ნიჭითა და ცოდნა-გამოცდილებით დასაქმებას ჰპირდებოდა? კალაძე, სხვებთან ერთად, გმობდა „ნაცმოძრაობის" ნეპოტიზმის პოლიტიკას და ირწმუნებოდა, ხელისუფლებაში მოვალთ და არც ერთი ჩვენიანი, „ქართული ოცნების" არც ერთი წევრი, დაუმსახურებლად არ გაჭაჭანდება სახელმწიფო სამსახურში, მხოლოდ კონკურსების წესით დავასაქმებთ ღირსეულ და პროფესიონალ ადამიანებსო.

განა რა დამსახურება აქვს მის ცოლისძმას, 23 წლის გიორგი არეშიძეს, რომ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის უფროსის მოადგილედ დანიშნეს? რა გამოცდილება აქვს 23 წლის ბიჭს, რომ 1.5-მილიონიანი ქალაქის მერიაში, ერთდროულად, კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებს რომ გაუძღვეს? ვინმეს დათო კირკიტაძე და დავით კეზერაშვილი ხომ არ გაგახსენდათ, სწორედ ამ ასაკში. 2004 წელს ერთი დეპუტატი გახდა და მეორე – ფინანსური პოლიციის უფროსი და გიორგი არეშიძის მსგავსად, არც მათ ჰქონდათ მანამდე არსად ნამუშევარი, პირდაპირ ამხელა პოსტებზე დანიშნეს. აშკარაა არა „ნაციონალებთან" მსგავსება? ახლა რა ვქნათ, კახი კალაძეს მადლობა გადავუხადოთ იმის გამო, რომ გიორგი არეშიძე პირდაპირ პარლამენტში არ დაგვისვა დეპუტატად? თუ უმუშევარი ნათესავები ბევრი ჰყავს ანუკი არეშიძეს, მის მეუღლეს მრავალმილიონიანი, სხვადასხვა სახის ბიზნესი აქვს საქართველოში, უკრაინასა და იტალიაში. ადექი და ეგ ხალხი იქ დაასაქმე. თუ კახი კალაძის მეუღლის ამ ნათესავებს, ვინც ზემოთ ვახსენე, ყველას ერთდროულად აღმოაჩნდა სახელმწიფო მოხელის ნიჭი და ბიზნესში არც ერთი არ გამოდგება? ეს უკვე ხალხის აბუჩად აგდებაა და მეტი არაფერი.

საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატის, სოსო ჯაჭვლიანის ბიცოლა ციური ჭანტურია მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში დაინიშნა. ქალაქ თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის, ჯაბა სამუშიას ცოლმა კი, თბილისის ბავშვთა ბაღების მართვის სააგენტოში დაიწყო მუშაობა. ისნის გამგებლის, ვახტანგ ქიზიყურაშვილის ვაჟი, ირაკლი ქიზიყურაშვილი დიდუბის რაიონში ინფრასტრუქტურის განყოფილებაში დასაქმდა. სამგორში გამგეობის აპარატის უფროსისა და გამგებლის მეუღლეები არიან მეჯვარეები. დიდუბის რაიონში კი გამგებლის, ირმა ზავრადაშვილის დეიდაშვილის მეუღლე, ნატო დარჯანია დიდუბის უბნის სამსახურის უფროსის მოადგილედ მუშაობს. თბილისის საკრებულოს დიღმის დეპუტატის, თარაშ შურღაიას ბიძა, ალექსანდრე ავთანდილაშვილი ამავე გამგეობაში განყოფილების უფროსად დაინიშნა. გივი ჩხარტიშვილი, დიდუბის რაიონის „ქართული ოცნების" ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე დიდუბის უბნის სამსახურის რწმუნებულია, გამგეობის კადრების სამსახურის უფროსად თამარ მაისურაძე გაამწესეს, რომელიც ასევე „ქართული ოცნების" დიდუბის ოფისის მდივანი იყო.

პარტიული ნიშნით სახელმწიფო სტრუქტურები „ნაცმოძრაობამ" გაავსო, თუ ამ პარტიის წევრი და აქტიური მხარდამჭერი არ იყავი, სახელმწიფო სამსახურისკენ გზა დახშული გქონდა. ამის გამო, ძალიან ბევრი ნიჭიერი და გამოცდილი ადამიანი გარიყა „ნაცმოძრაობამ", ბოლოს კი, ვინც თავისიანი არ იყო, ადგნენ და უბრალოდ, ჩარეცხეს. „ქართული ოცნებაც", ჯერჯერობით, ამ გზას ადგას. ვისაც ყველაზე გრძელი დროის ტარი ეჭირა საპროტესტო აქციების წინ, ისინი კი არ უნდა დანიშნო თანამდებობებზე, პროფესიონალები უნდა მოიყვანო სახელმწიფო სამსახურებში. არაპროფესიონალებმა დაღუპვის პირას მიიყვანეს ეს ქვეყანა, დაანგრიეს და დააქციეს და რაც დარჩა, იმის განადგურებას „ქართული ოცნება" აპირებს იმავე გზით თუ რაშია საქმე? „ქართულმა ოცნებამ" ხალხის მხარდაჭერით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მოიგო. მმართველ პარტიას ყველა საკრებულოში უმრავლესობა ჰყავს, საქართველოში ყველა ქალაქის მერი და ვიცე-მერები, ყველა რაიონის გამგებლები და მათი მოადგილეები „ქართული ოცნების" წარმომადგენლები არიან. ამას დამავატოთ მინისტრთა კაბინეტი – ყველა მინისტრი და მინისტრის მოადგილე „ქართული ოცნების" წევრია, ამ პარტიის მხარდამჭერები დაინიშნნენ ყველა სამინისტროს დეპარტამენტებისა და სამსახურების უფროსებად. ეს უკვე რამდენიმე ათასი დასაქმებული ადამიანია პარტიული ნიშნით. მეტი რაღა გინდათ, თქვე დალოცვილებო, ყველა საკვანძო პოსტი საქართველოში თქვენია და პატარ-პატარა თანამდებობები, უბრალო სამსახურები მაინც დაანებეთ იმ ხალხს, რომელიც არც ერთი პარტიის წევრები არაა. არადა, ასეთი ნახევარ საქართველოზე მეტია.

აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსად საკუთარი თანასოფლელი და მეგობარი, ჯოკია ბოდოკია დანიშნა. არა, იმას არ ვამბობ, რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის მკვიდრთ ეკრძალებათ თბილისის მერიაში მუშაობა, ბოლოს და ბოლოს, თავად თბილისის მერია კოკიდან, მაგრამ საქმე ისაა, რომ ნარმანია ვერაფრით ვერ დაამტკიცებს, რომ ამ თანამდებობაზე ჯოკია ბოდოკიაზე უკეთესს ვერავის დანიშნავდა. იმ ხალხს, ვინც თავის დროზე „ნაციონალებმა" უმუშევრად დატოვეს და მოიძულეს, ახლა „ქართულმა ოცნებამ" შეაქცია ზურგი. არადა, ეს „ქართული ოცნება" სწორედ ხალხის თავდადებისა და თავგანწირვის შედეგად მოვიდა ხელისუფლებაში. დღეს კი, ის ადამიანები, ვინც ესენი ქვეყნის სამართავად მოიყვანა, საერთოდ აღარ ახსოვთ.

მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ საპროტესტო აქციების დაწყება დააანონსა. „ნაციონალები" 15 ნოემბერს იწყებენ ამ აქციებს და გაზაფხულამდე გაჩერებას არ აპირებენ. სააკაშვილმა ცალსახად განაცხადა, რომ 2016 წლის არჩევნებამდე მოცდას არ აპირებს და მანამდე უნდა მოიცილოს ეს ხელისუფლება. ეს, ფაქტობრივად, ახალი რევოლუციის ანონსი იყო და სხვა არაფერი. სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა" კარგს რომ არაფერს უქადიან ამ ქვეყანას, ეს ყველამ იცის.

„ქართული ოცნების" ლიდერები ახლა იმაზე უნდა იყვნენ გადართულნი, რომ ამ დამთხვეულ სააკაშვილს, ეს რევოლუციური გეგმა ჩაუგდონ, პოლიტიკური და უშელავათო ბრძოლის ბოლო ეტაპი დაწყებულია და ამ გაგანია ბრძოლაში, რა დროს ნათესავებისა და თანაპარტიელების დასაქმებაა, ხალხო?! თუ „ნაცები" დაბრუნდნენ, ეგ სამსახურებიც ოხრად დაგრჩებათ, იმ დამსაქმებლებსაც შავ დღეს დააწევენ „ნაცები" და ამ ქვეყანასაც საბოლოოდ ეტირება დედა. ცოტა გამოფხიზლდით და მიწაზე დაეშვით. ხალხს იმიტომ არ მოუყვანიხართ ხელისუფლებაში, რომ კოჰაბიტაცია უსაშველოდ გაჭიმოთ, „ნაციონალების" ლიდერების დანაშაულებზე გაზეთებში ტომებია დაწერილი და ამ შავი ჭირის მოუსავლეთში გასაგზავნად მოგცათ ხმა ხალხმა.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოხეში სადავო შენობის ბედს სპეციალური კომისია გადაწყვეტს



ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში სადავო შენობის წარმომავლობის დასადგენად სპეციალური კომისია შეიქმნება. მის მუშაობაში სპეციალისტები ჩაერთვებიან და გადაწყვეტილებასაც მათი დასკვნის შემდეგ მიიღებენ.

ამის შესახებ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ზაზა ვაშაყმაძემ შეხვედრა რამდენიმე სოფელში გამართა.

„ადგილობრივები მიესალმებიან კომისიის შექმნას და მზად არიან, ჩართონ მათი წარმომადგენელი მის მუშაობაში. ვითარებაში გარკვევის მიზნით, ვფიქრობთ, მოვიწვიოთ ძეგლთა დაცვის სააგენტო, კულტურის სამინისტრო, საჭიროების შემთხვევაში, არასამთავრობო სექტორი, რათა ზედმეტი კითხვები აღარ გაჩნდეს. მთლიანობაში, ამ კომისიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ვისი კუთვნილებაა ეს შენობა", – განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ.

ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში ამ დრომდე გრძელდება ადგილობრივი მუსლიმანების პროტესტი, რომლებიც სოფლის ცენტრში მდებარე ყოფილი კულტურის სახლში ბიბლიოთეკის მოწყობას აპროტესტებენ. მუსლიმანები იქ მეჩეთის მშენებლობას მოითხოვენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## ზუგდიდში აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შენობა ააფეთქეს



გუშინ, გვიან ღამით, ძლიერი აფეთქება მოხდა ზუგდიდში. აფეთქდა გორის ქუჩაზე მდებარე აფხაზეთის კონსტიტუციური უსაფრთხოების ყოფილი შენობის ერთ-ერთი ფასადი, სადაც მობილიზებული იყვნენ სამართალდამცავები და სასწრაფო დახმარების ბრიგადები. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ შენობის ერთი ნაწილი მთლიანად ჩამოინგრა. გავრცელებული ინფორმაციით, შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა.

წინასწარი ინფორმაციით, არის მსხვერპლიც და მომხდარ აფეთქებას ემსხვერპლა ერთ-ერთი თანამშრომელი. „რუსთავი 2"-ის კორესპონდენტის ინფორმაციით, გარდაცვლილი ამ უწყების ერთ-ერთ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. (ნიუპოსტი; პირველი რადიო)

## ესპანეთში კიდევ 6 ქართველი დააკავეს

ესპანური მედიის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ესპანეთის ქალაქ ლა კორუნიაში, შვიდკაციანი კრიმინალური დაჯგუფება დააკავა, რომელთა შორის 6 ქართველია. ადგილობრივი პოლიციის განცხადებით მძარცველებმა 4 თვის განმავლობაში 102 ბინა გაქურდეს, საიდანაც ძვირფასეულობა, ფული და ელექტროსაქონელი გაჰქონდათ. ესპანური მედიის ცნობით, პოლიციამ ასევე სამი ადგილი აღმოაჩინა, მათ შორის 2 ბარსელონაში, ერთი კი ლა კორუნიაში, სადაც კრიმინალური დაჯგუფება მოპარულ ნივთებს ინახავდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## იშხნის ტაძარზე აღდგენითი სამუშაოები განახლდა



თურქეთში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებულ იშხნის ტაძარზე აღდგენითი სამუშაოები განახლდა. სამუშაოები გაზაფხულის შემდეგ შეჩერებული იყო. ამ დროისთვის მთლიანად იშხნის ტაძარზე ბეტონის ჭერი და ქვემოდან ქვის პერანგია გაკეთებული. მოხსნილია ტაძრის შუაში არსებული კედელი, რომელიც ტაძრის მეჩეთად გადაკეთების დროს ამოაშენეს. ტაძარში დაწყობილია ხის მასალა, რომელიც, სავარაუდოდ, შიდა სამუშაოებისა და ტაძრის გადახურვისთვის არის საჭირო. იშხნის საკურთხეველთან გარე პერიმეტრზე გაკეთებულია დრენაჟი, რითაც ტაძრის საძირკველში წყლის ჩადინება აღარ მოხდეს.

ასევე, ეკლესიის დასავლეთის მხარეს, გარედან ამოშენებულია კედელი, რომლის წყობამ აღდგენითი სამუშაოების დაწყების დროს ქართველ სპეციალისტებში უკმაყოფილება გამოიწვია. ქართველი სპეციალისტები ამბობენ, რომ წყობა თურქული ყაიდისაა.

იშხნის ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა. იმ ადგილზე ტაძარი პირველად მე-7 საუკუნეში ნერსე ეპისკოპოსს აუშენებია, შემდეგ – საბა იშხნელს. ტაძარი სხვადასხვა დროს გადააკეთეს. ამჟამად ჩვენამდე მოღწეული ტაძარი კი მე-11 საუკუნისაა, ჯვარ-გუმბათოვანი. იშხანი საეპისკოპოსო ცენტრი იყო და მსახურება იქ მე-18 საუკუნემდე სრულდებოდა, ვიდრე უკანასკნელი ბერი არ გარდაიცვალა. (ინტერპრესნიუსი)

## უკრაინის არჩევნებში ლიდერობას იაცენიუკის პარტია ინარჩუნებს




უკრაინის საპარლამენტო არჩევნებში ხუთპროცენტიანი ბარიერი ექვსმა პოლიტიკურმა პარტიამ გადალახა. უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის არსენი იაცენიუკის პარტია „სახალხო ფრონტი“ ხმების 21,6%-ით ლიდერობს, მას მცირედით ჩამორჩება პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ბლოკი – 21,45%, რომელსაც მოჰყვება გაერთიანება „სამოპომიჩი“ – 11,2%, „ოპოზიციური ბლოკი“ – 9,79%, „რადიკალური პარტია“ – 7,34%, იულია ტიმოშენკოს პარტია „ბატკივშჩინა“ – 5,65%.

უკრაინაში ჩატარებული რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგებს უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისია 10 ნოემბერს გამოაცხადებს. (ინტერპრესნიუსი)

## პირველმა თოვლმა წალკის მუნიციპალიტეტში პრობლემები შექმნა



ტემპერატურა უამინდობის გამო 2 გრადუსამდე დაეცა. თოვა 26 ოქტომბერს ღამით დაიწყო. წალკის მუნიციპალიტეტის გამგებლის განცხადებით, ამ ეტაპზე მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელებაში გარკვეული პრობლემებია. მისი თქმით, პრობლემები ადრეულმა ზამთარმა გამოიწვია. საბაძის განცხადებით, მუნიციპალიტეტმა უკვე მიმართა სატყეო დეპარტამენტს, ნება დართოს წალკის მოსახლეობას შეშა ბედიანისა და დაბა ხრამჰესის ტყეებიდან მოიმარაგოს. (პირველი რადიო)

## თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრის მეორე შენობის მშენებლობა დაიწყო

მარტყოფში თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და განთავსების ცენტრის მეორე შენობის მშენებლობა დაიწყო. ამ ეტაპზე მარტყოფში უკვე არსებობს თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრი, სადაც დროებითი თავშესაფრით 60-მდე ადამიანია უზრუნველყოფილი. ცენტრი სამი განყოფილებისგან შედგება: ოჯახებისთვის, მარტოხელა ქალებისა და მამაკაცებისთვის. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## „ქართული ოცნება“ მხოლოდ ოცნებად დარჩა“



„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ „ქართული ოცნების“ მთავრობის მმართველობის ორი წელი შეაფასა.

„დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთადერთი მიღწევა ამ ხელისუფლებისა არის ის, რომ ადამიანებს მასობრივად აღარ ატერორებენ, არ არის მასობრივი შიში, ეს მნიშვნელოვანია, ჩვენ ამას „ქართულ ოცნებას“ არ ვუკარგავთ. მაგრამ ეს არის ის მინიმუმი, რაც ნებისმიერი ხელისუფლების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. სამწუხაროდ, ორი წლის განმავლობაში „ქართული ოცნების“ გაუბედავი პოლიტიკის შედეგად, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოჰაბიტაციის შედეგად ჩვენ მივიღეთ ის რეალობა, რომელიც გვაქვს დღეს საქართველოში და რომელსაც შეგვიძლია, დავარქვათ „ნაციონალური მოძრაობის“ გაცოცხლების ორი წელი“, – განაცხადა ბურჯანაძემ. მისი თქმით, ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც ქვეყნის ტერიტორიების 20% დაკარგა, დღეს ბედავს, დააანონსოს აქცია საქართველოს გამთლიანებასთან დაკავშირებით. ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ საქართველოს გამთლიანების პერსპექტივას ყველაზე დიდი ზიანი სწორედ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიაყენა.

„მრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს გამთლიანება და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება მხოლოდ ჩემი და ჩემი თანაგუნდელების მთავარი ამოცანაა, სხვა ყველასთვის ეს მეორე და მეათეხარისხოვანია. ის წინადადება, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ ხელისუფლების მხრიდან, ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას არანაირი ხედვა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებასთან დაკავშირებით არ გააჩნია. ისინი მოწყვეტილნი არიან რეალობას და გვესაუბრებიან 20 წლის წინანდელი ტერმინოლოგიით, რომელიც კატეგორიულად მიუღებელია აფხაზებისა და ოსებისთვის. ძალიან გამიხარდებოდა, რომ დღეს პრემიერისგან მომესმინა, როგორც მან თავის დროზე თქვა, სიურპრიზი და მას განეცხადებინა, რომ მზად არის, ცხინვალსა და სოხუმში ჩავიდეს და დაიწყოს პირდაპირი დიალოგი ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, სამწუხაროდ, დღევანდელმა ხელისუფლებამ საქართველოს მოსახლეობის იმედები არ გაამართლა და „ქართული ოცნება“ მხოლოდ ოცნებად დარჩა. (რეპორტიორი)

## სახელმწიფო ჰიმნის შესრულების წესში ცვლილებებია



სადღესასწაულო ცერემონიებისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ გამართული ღონისძიებების დროს სახელმწიფო ჰიმნის შესრულების წესში ცვლილებებია. მთავარი ცვლილება არის ის, რომ სახელმწიფო ჰიმნის ოფიციალური შესრულების წესი, ასევე სახელმწიფო დროშასთან, გერბთან დაკავშირებული საკითხები პრეზიდენტის ბრძანებულებების ნაცვლად, პარლამენტის დადგენილებებით დარეგულირდება.

სახელმწიფო ჰიმნის შესრულებასთან დაკავშირებით იცვლება ის, რომ შესაბამისი დადგენილების პროექტის თანახმად, ჰიმნი პარლამენტის მიერ მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების შემდეგ შესრულდება. გარდა ამისა, ჰიმნი პარლამენტში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დამტკიცების შემდეგაც შესრულდება, მაგრამ არა უზენაესი სასამართლოს ყოველი მოსამართლის არჩევისას, როგორც ამას პრეზიდენტის ბრძანებულება ითვალისწინებს. ჰიმნის შესრულება სავალდებულო იქნება ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისა და დეპუტატების მიერ ფიცის დადების შემდეგ. პრეზიდენტის ბრძანებულების გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი სრულდება სადღესასწაულო ცერემონიებისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ გამართული შემდეგი ღონისძიებების დროს: საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვისას; საქართველოს ახალი პრეზიდენტის სახელმწიფოს სათავეში ოფიციალურად ჩადგომის ცერემონიის დროს ფიცის დადების შემდეგ; პარლამენტის სესიის გახსნისას და დახურვისას; პარლამენტის თავმჯდომარის არჩევის, მთავრობის წევრების, ავტონომიურ ფორმირებათა ხელმძღვანელების, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების თანამდებობებზე დანიშვნისას; სახელმწიფო ჯილდოების გადაცემისას; ძეგლების ან ძეგლის დასადგმელი ადგილის საზეიმო გახსნისას; საქართველოს სახელმწიფო დღესასწაულებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებათა გახსნისა და დახურვისას და საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დაწყებისა და დამთავრებისას. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ნაციონალები“ არასაპარლამენტო ოპოზიციასთან კონსულტაციებს იწყებენ




15 ნოემბრის აქციასთან დაკავშირებით „ნაციონალური მოძრაობა“ არასაპარლამენტო ოპოზიციასთან კონსულტაციების დაწყებას გეგმავს. რომელი პარტიები შეუერთდებიან მათ მოწოდებას, ჯერ უცნობია, თუმცა გადაწყვეტილება მიღებული აქვთ „ახალ მემარჯვენეებს“. ისინი ამ აქციაში მონაწილეობას არ აპირებენ. საპროტესტო აქცია 15 ნოემბერს რუსთაველის გამზირზეა დაგეგმილი.

„ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა განცხადებით, საპროტესტო აქციით ისინი შეეცდებიან, გააპროტესტონ რუსეთის პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში და ასევე, მოუწოდონ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ საქართველო არასოდეს შეეგუება რუსეთის მისი ტერიტორიების ოკუპაციას, აფხაზეთში განხორციელებულ ეთნიკურ წმენდას და დევნილების გამოდევნას.

„ნაციონალური მოძრაობა“ არა მხოლოდ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, არამედ რიგით მოქალაქეებსაც მოუწოდებს, აქციას შეუერთდნენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ივანიშვილის ქვისლმა მთავრობის დადანაშაულება გადაიფიქრა



„პირველ პრესკლუბში“ 12:00 საათზე დანიშნული იყო გია ბერაძის პრესკონფერენცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და შსს-ს მიერ ბიზნესის წართმევის შესახებ უნდა ესაუბრა. წინასწარ გავრცელებული ინფორმაციით საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ქვისლს გია ბერაძეს საკუთარ კომპანია „სერვის ცენტრზე“ უნდა ესაუბრა, რომელსაც ევალებოდა თბილისის მასშტაბით ტრანსპორტის გადაადგილება მანქანების კონკრეტულ სადგომზე, ბერაძის თქმით, მისი ხელშეკრულების შეწყვეტა აბსურდული ბრალდებით, ხელოვნურად მოხდა, ის სერვისი, რომელსაც ბერაძის კომპანია ახორციელებდა, ამჟამად 112-სთვის არის გადაბარებული.

ბერაძემ პრესკონფერენციის მსვლელობისას თემა შეცვალა და „მაესტროს“ ჩართვაში განაცხადა, რომ არ იცის, საიდან მოვიდა ამ ამბის ასე დაანონსება.

„მე ვერ დავარქმევ ბიზნესის წართმევას, მაგრამ ეს არის ხელის შეშლა ბიზნესისთვის საპატრულო პოლიციის მხრიდან, ჩვენ 2006 წლიდან ამა წლის პირველ აპრილამდე გვქონდა ხელშეკრულება, წელს კი ეს ხელშეკრულება მომავალი სამი წლით გაგრძელდა, მაგრამ რატომღაც 15 მაისს მოინდომეს რომ უნდა შეწყვეტილიყო თან გაუფრთხილებლად, მიზეზად დაასახელეს ტერიტორიის არქონა, ასევე თითქოს ვაგვიანებდით გამოძახებაზე, თუ მსგავსი პირობების დარღვევა იყო, შეეძლოთ გავეფრთხილებინეთ წერილობით ან ტელეფონით, ჩვენ ყოველდღიური ურთიერთობა გვქონდა საპატრულო პოლიციასთან.

ბერაძე უარყოფს იმ ფაქტს, რომ ის კონკრეტულად ირაკლი ღარიბაშვილსა და შსს-ს ადანაშაულებდა ბიზნესისთვის ხელის შეშლაში,

„მე ვერ დავადანაშაულებ პრემიერს, ჩვენგან იქნა გაგზავნილი წერილი პრემიერ-მინისტრთან, იქიდან მიღებულ იქნა პასუხი, ძალიან ოპერატიულად, ბატონი გია გახარია დაგვიკავშირდა, გვთხოვა შეხვედრა და გვითხრა, რომ უნდა დავიწყოთ ძებნა იმ მიზეზების, თუ რა მოხდა, შემდეგ დამაკმაყოფილებელი პასუხიც მივიღეთ, პირდაპირ წერია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა არაკანონიერად მოხდა“.

ბერაძის თქმით მას ამ საკითხთან დაკავშირებით ყოფილ პრემიერ-მინისტრთან და ნათესავთან კონტაქტი და საუბარი არ ჰქონია: „ნათესაობა და ოჯახი ერთია, საქმე და სამსახური – მეორე, ბიძინა ივანიშვილი აქ არაფერ შუაში არაა, მით უმეტეს, არა მგონია, პრემიერ-მინისტრს ის ინტერესები ჰქონდეს, რომ საჯარიმოსთან დაკავშირებით პრობლემები შეუქმნას ვინმეს“. – განაცხადა ბერაძემ.

საინფორმაციო სააგენტო „პირველი“ აცხადებს, რომ ანონსი შეთანხმებული იყო გია ბერაძის ადვოკატ დიმიტრი გაბუნიასთან, რომელიც ადასტურებს, რომ პრესკონფერენციაზე საუბარი სწორედ დაანონსებულ თემასთან დაკავშირებით უნდა წარმართულიყო. (ნიუპოსტი)



# რატომ არ ეტყობა 6%-იანი ზრდა მოსახლეობის ცხოვრებას?

ირაკლი ღარიბაშვილმა ორწლიანი ანგარიშით წარდგენისას განაცხადა: „მსოფლიო ბანკის წლევანდელი ანგარიშით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა რეგიონში არის პირველ ადგილზე. რამდენიმე ავტორიტეტული საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით, საქართველოს პოზიციები სტაბილურობიდან პოზიტიურამდე გაუმჯობესდა. ჩვენი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ამ ეტაპზე არის 6 პროცენტი. მსოფლიო ბანკის წლევანდელი ანგარიშით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა რეგიონში არის პირველ ადგილზე. ხოლო მსოფლიო ბანკის წევრ ქვეყნებს შორის – მეორე ადგილზე. რამდენიმე ავტორიტეტული საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით, საქართველოს პოზიციები სტაბილურობიდან პოზიტიურამდე გაუმჯობესდა. ხოლო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 19 საფეხურით დავწინაურდით. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა გახდა უფრო ძლიერი და ეფექტური და საფინანსო ინსტიტუტების მიმართ სანდოობა არის გაზრდილი. განსაკუთრებით დიდი წინსვლა გვაქვს ექსპორტის კუთხით. ამ ორი წლის მანძილზე საქართველოდან ექსპორტი გაიზარდა 24 პროცენტით. მათ შორის, 2012 წელთან შედარებით საქართველოს ექსპორტი ევროკავშირთან 70 პროცენტით გაიზარდა. ხოლო რუსეთთან – 534 პროცენტით... ეს ნამდვილად შთამბეჭდავი ციფრებია, თუმცა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს, რომ კიდევ უფრო ეფექტური გავხადოთ ეს ყველაფერი, რომ კიდევ უფრო განვითარდეს ეკონომიკა და შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. ეს არის ჩვენი უპირველესი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ მიიღო ამ მიმართულებით“.

რამდენად რეალურია პრემიერის მიერ მოყვანილი ციფრები და თუკი ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობაა, რატომ არ მატულობს მოსახლეობის ცხოვრების დონე?

**„ალიას“ ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ДЕМУР ГИОРХЕЛИДЗЕ** 

**„ალიას“ ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძე ესაუბრა:**

**— ბატონო დემურ, პრემიერი აცხადებს, ჩვენი ეკონომიკა უფრო ძლიერი გახდაო და რატომ არ ეტყობა მოსახლეობის ცხოვრების დონეს?**

– თავისთავად ცხადია, განვითარებულ ეკონომიკაში, როგორიცაა აშშ, 6%-იანი ზრდა მართლაც იქნებოდა შესანიშნავი შედეგი, მაგრამ ისეთ უსუსურ, მწირ და პრობლემებით დახუნძლულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს მაჩვენებელი არასაკმარისია. ამ ზრდის ტემპებით შეუძლებელია სიღარიბის დაძლევა, ან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის გაუმჯობესება. ასეთია რეალობა. ჩვენი ეკონომიკა დღეს 6%-იანი ზრდის შემთხვევაში 16 მილიარდ 300 მილიონი აშშ დოლარის ტოლი იქნება. ეს არის ერთი ამერიკული ფირმის წლიური შემოსავალი. რა უნდა გაკეთდეს ამ ფულით? მომავალ წელს დაგეგმილია 5%-იანი ზრდა, შემდეგ სამ წელიწადში 5.5%-იანი ზრდა, სრული უპერსპექტივოა. მინიმალური ზრდის პროცენტი, რომელიც ოდნავ მაინც დაეტყობა ქვეყანას, არის 8-12%. აქედან გამომდინარე, ესე იგი, ჩვენ სხვა გზას უნდა დავადგეთ.

**— რა გზას?**

– უნდა მოვძებნოთ ეკონომიკური ზრდის სხვა ფაქტორები, ესაა განათლება, ინოვაციური განვითარება და ამას წლები სჭირდება. წლები რომ არაფერს ნიშნავს საქართველოში, ჩვენ 2015-18 წლის პროგნოზებით ვხედავთ. ამ წლებში არანაირი სერიოზული გარღვევა არც დასაქმებაში და არც სიღარიბის დაძლევაში უბრალოდ არ გვექნება. გარღვევა ჯერჯერობით ეკონომიკური ზრდის მიმართულებით, თუნდაც სამუშაო ზრდის მიმართულებით, მთავრობამ ვერ შექმნა. გასაგებია, რომ ყველა პრობლემა 2 წელიწადში ვერ დაიძლეოდა. ეკონომიკის ღერძი უნდა იყოს სამუშაო ადგილების ზრდა, ვერ აკეთებს ამას მთავრობა, ეს არ არის მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის ბრალი.

**— აბა, რისი ბრალია?**

– ეს არის საერთო ხედვების ბრალი და იმ სამთავრობო პოლიტიკის ბრალი, როცა ინსტიტუციონალური მშენებლობა არის მივიწყებული, არადა მის გარეშე საბაზრო ეკონომიკის ნორმალურად ფუნქციონირება შეუძლებელია. ხელისუფლებაში კარგი ადამიანები არიან, მაგრამ ამოცანების სიმძიმე არის უსაშველოდ დიდი და უჭირთ სწორი შეფასება, უჭირთ, წარმოიდგინონ მასშტაბი იმ საშინელებისა, რაშიც არის ქვეყანა გახვეული.

**— პრემიერი ამბობს, რეგიონში პირველ ადგილზე ვართო, თქვენი კვლევების მიხედვით, რა მონაცემები გაქვთ? რაში ეთანხმებით პრემიერს და რაში — არა?**

– როგორ შეიძლება, რეგიონში პირველ ადგილზე ვიყოთ, როცა გვერდით აზერბაიჯანი გვყავს, რომელსაც ვერანაირი პარამეტრებით ვერ შევედრებით. ჩვენ ვერ შევნიშნეთ ის უზარმაზარი ნაბიჯი, რომელიც აზერბაიჯანმა, როგორც გონიერმა სახელმწიფომ, რომელიც ასევე ჩვენსავით იყო უბედურებაში გახვეული, გადადგა და დაადგა მშენებლობის გზას. ჩვენ ჯერ კიდევ პრობლემებში ვართ და პრეზიდენტყოფილი იმას გვეუბნება, ახალ არეულობას დავიწყებო. არ და ვერ ვიქნებით პირველები რეგიონში, როცა გვერდით აზერბაიჯანია. ჩვენი ეკონომიკა იზრდება იმ მოცულობით, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში დაგროვილი პრობლემების მოგვარებას, დოვლათი ვერ იქმნება, რადგან მიმდინარე ხარჯები გვაქვს და მას ჭამს. ამ ხელისუფლებას მეტის გაკეთება შეუძლია, მაგრამ, სამწუხაროდ, არაპროფესიონალიზმმა, კადრების შერჩევაში დაშვებულმა კატასტროფულმა შეცდომებმა, ნეპოტიზმმა და სიხარბემ სახელისუფლებო სტრუქტურებში, როგორიც იყო პრემიებთან დაკავშირებით, გააკეთა ის, რომ მთავრობის საქმიანობა ეფექტური არ არის. გაცილებით დიდი შედეგების მიღწევა შეიძლებოდა.

**— საბანკო სფეროზეც ისაუბრა პრემიერმა. საფინანსო ინსტიტუტების მიმართ სანდოობაა გაზრდილიო, არადა ვიცით, რომ ბანკებს ხალხი არ ენდობა...**

– შეიძლება ითქვას, რომ პრემიერის გამოსვლაში ეს დიდი შეცდომა იყო. ეს არის უმახინჯესი სტრუქტურა კანონმდებლობის დონეზე, მონოპოლიებად ქცეული, დაკარგული აქვთ შუამავლის ფუნქცია, როცა უნდა ემსახურონ ფულის აკუმულირებას. ისინი არ ემსახურებიან ეკონომიკას, არც არაფერს, საკუთარი ინტერესების გარდა. ამიტომ თუ პრემიერი ამ სერიოზულ შეცდომას არ გაიმეორებს, ძალიან კარგი იქნება, რადგან საბანკო კანონმდებლობა თუ არ მოვიდა წესრიგში და თუ ბანკებს კლასიკური საბანკო საქმიანობიდან შემოსავლები არ დავუტოვეთ, არ ვაიძულეთ თავისი ფუნქციის შესრულება და ასე გააგრძელებენ ქვეყნის წაჭმას, ისინი ყველაზე დიდი შემაფერხებლები იქნებიან საქართველოში ეკონომიკის განვითარების. თუ ეს მახინჯი სისტემა დარჩა, არ დაუშვებს საქართველოში კერძო სექტორის განვითარებას. არ დაუშვებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რადგან მათ ხელშია ფული და თუ მთავრობის მხარდაჭერა ექნა ამ სიმახინჯეს, ჩვენ წავაგებთ, ხალხი ისედაც წაგებულია და ახლა მთავრობა წააგებს ამ საბანკო სისტემით. საბანკო სისტემა ხელისუფლებას შეუქმნის სერიოზულ პოლიტიკურ პრობლემას, მე მას ვაფრთხილებ.

**— მთავრობის ყველაზე დიდ შეცდომად რას თვლით?**

– დღევანდელი ხელისუფლება იგივე შეცდომას უშვებს, რასაც წინა ხელისუფლება. წინა ხელისუფლებას იგნორირებული ჰყავდა ხალხი, უზარმაზარი პოტენციალი, რომელიც შეიძლებოდა განვითარების სამსახურში ჩამდგარიყო, ასი ათასობით სპეციალისტი გვყავს ქვეყანაში, რომელიც იგნორირებულია. ეს ხალხი იხარშება საკუთარ ტაფაში, საკადრო პოლიტიკაში შეცდომები ვნებს ხელისუფლებას და ვნებს ხალხს. პრემიერის მოქმედებებში სიხისტე არ იგრძნობა, მას სჭირდება ამისთვის საყრდენი. საყრდენი არის ქართველი საზოგადოება და ის ინტელექტუალური, პროფესიული ძალები, რომლებიც საქმისთვის ძალიან გამოსადეგი იქნება. თუ ეს ხელისუფლება, როგორც წინა, ჩაიკეტება საკუთარ თავში, ადრე თუ გვიან, ნეგატიურ განწყობებს გააძლიერებს ქვეყანაში.

**— რომ დაგიძახოთ ღარიბაშვილმა და გკითხოთ, რა შევცვალო და როგორო, რას ურჩევდით?**

– რა თქმა უნდა, დავიწყებდი იმით, რაც უპირველესია, ადამიანებს, რომელთაც სურთ დამოუკიდებელი საქმიანობა, ამისთვის გავუჩენდი შესაძლებლობებს. მთავრობის დიდი შეცდომაა, როცა ის ახორციელებს პროგრამებს მინიმალური შედეგით, ეს პოლიტიკა ასი ათასობით ადამიანის დასაქმებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ეს არის ხელისუფლების სუსტი ადგილი. თითოეულ სამინისტროს უნდა ჰქონდეს ზუსტი მონახაზი, რომელსაც უნდა მიაღწიოს. ცალკეული სამინისტროები „იქაჩებიან“ სამეურნეო ფუნქციების შესრულებაზე, მათი პროდუქტი უნდა იყოს გადაწყვეტილებები, რომლის შედეგად კერძო სექტორმა უნდა დადოს შედეგი. გარდა ამისა, კარჩაკეტილობა მთავრობის ეფექტურობას ძალიან ავნებს. ჩვენთან არ არსებობს გადაწყვეტილების განხილვის, მისი დამუშავების ტექნოლოგია, გადაწყვეტილებები კულუარებში მიიღება და ამიტომ არის ისინი არაეფექტური.

ჟანა ასანიძე
5 68 00-14-14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ბიძინას პრემიერის ანგარიშმა „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებს აჯობა“



ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა და მთავრობის გაწეული სამუშაო შეაფასა „ლეიბორისტების“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა.

„ბიძინას პრემიერ-მინისტრის ანგარიში, თავისი ყალბი და ფანტასტიკური პარამეტრებით უკვე სჯობნის „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებს. როგორც ჩანს, პრემიერ-მინისტრს ჰგონია, რომ 100 დაპირებული ქარხანა მუშაობს, საბანკო-საპროცენტო განაკვეთები შემცირებულია, რომ ბინებიდან ხალხს აღარ ასახლებენ და ჰგონია, რომ ყველა არის კმაყოფილი და მხიარული. ეს არის სამწუხარო ილუზია“, – განაცხადა ნათელაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „აეროფლოტმა“ ფრენები განაახლა



ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, რუსულმა ავიაკომპანია „აეროფლოტმა“ თბილისი-მოსკოვი-თბილისის მიმართულებით პირველი რეისი შეასრულა. პირველ რეისზე, „აეროფლოტის“ თვითმფრინავით, მოსკოვში, თბილისიდან ასი მგზავრი ჩავიდა. ფრენების განახლების აღსანიშნავად, „აეროფლოტის“ ადმინისტრაციამ პრეზენტაციაც გამართა. ღონისძიება აეროპორტში მოეწყო.

„აეროფლოტის“ განკარგულებაში 153 ავიალაინერია და ის რეგულარულ და ჩარტერულ რეისებს 52 ქვეყანაში 121 მიმართულებით ასრულებს.

„აეროფლოტი“ ფრენებს თბილისი-მოსკოვი-თბილისის მიმართულებით ყოველდღიურ რეჟიმში განახორციელებს. (ნიუპოსტი)




## ქუთაისში მიტოვებული ახალშობილი იპოვეს

ქუთაისში ამ დრომდე დაუდგენელმა პირებმა ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში ახალშობილი დატოვეს. ჩვილი ადგილობრივებმა, პოლიეთილენის პარკში გახვეული იპოვეს, რის შემდეგაც საპატრულო პოლიცია გამოიძახეს.

წინასწარი ინფორმაციით, ბავშვის დედამ სახლის პირობებში იმშობიარა. ახალშობილი ქუთაისის ბავშვთა საავადმყოფოში გადაიყვანეს. მედიკოსების თქმით, ჩვილის მდგომარეობა სტაბილურია. საქმის ძიება ქუთაისის რაიონულმა პროკურატურამ დაიწყო. (ნიუპოსტი)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ნათია ფანჯიკიძის წერილი მაკა ჩიჩუასა და ნუნუკა თამაზაშვილს



თავდაცვის მინისტრის მეუღლე საქართველოში უმაღლესი სტანდარტის ხელოვნების სკოლის დაარსების ინიციატივით გამოდის.

ის სოციალური ქსელის საშუალებით საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის მეუღლეებს მიმართავს, რომ მათ პატრონაჟი გაუწიონ მის ინიციატივას.

„არიქა!!! (ანუ სოს!)

ირაკლის აზერბაიჯანელი მეგობრები საუბარს ხშირად იწყებენ, „ჩვენ ნავთობი გვაქვს“, და ამაყად გადმოგვხედავენ ხოლმე ჩვენ, უქონლებს... სამაგიეროდ ყოველთვის აღნიშნავენ, რომ სპექტაკლი პირველად რუსთაველის თეატრში ნახეს და რომ მშობლებმა სპეციალურად ამისთვის ჩამოიყვანეს თბილისში. ჩვენს კულტურულ უპირატესობას სსრკ-ში ყველა აღიარებდა და ინერციით მათი ეს მახსოვრობა ჯერ კიდევ გვშველის, მაგრამ დიდხანს ველარ დაგვეხმარება ძველი დიდების ნაშთი.

ხომ ყველას გვინდა უკეთესი განათლების სისტემა, ყველას გაგვიხარდება რეგიონში რაიმე ნიშნით გამორჩეული ინსტიტუტის ქონა, ხომ განვიცდით, რომ ჩვენივე წარმატებული ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა თვალით არ გვაქვს ნანახი? ხო ძალიან მაგარი იქნება და ამ მთავრობასაც ხომ გატანილ ოქროს გოლად ჩაეთვლება ინტერნაციონალური, უმაღლესი სტანდარტის ხელოვნების სკოლა რომ დაარსდეს საქართველოში?

ძალიან მინდა ეს წერილი პირადად მივწერო მაკა ჩიჩუას, რომელიც თვითონაც მხატვარია, ნუნუკა თამაზაშვილს, რომ იქნებ პატრონაჟი გაუწიონ ამ თემას და ამხელა საქმეს დაერქვას მათი სახელი, მართლა საშვილიშვილო საჩუქარი რომ იქნება ქვეყნისთვის.

ჯერჯერობით პირად წერილზე თავი შევიკავე, რადგან გია ეძგვერაძის განწყობაა – „არაფერი აღარ მინდა“. გულნატკენია და ამ მომენტში თვლის, რომ ის აქ არავის არ სჭირდება. ვისაც მისი ლექციები მოუსმენია, იცის, რამხელა ჰორიზონტის გახსნა შეუძლია სტუდენტებისთვის, ასევე, რამდენი მისი ნასტუდენტარია ხელოვნების დიდ ასპარეზზე გასული და წარმატებული. სურვილის შემთხვევაში, გიას შეეძლო მობილიზება გაეკეთებინა არა მხოლოდ იდეების, ადამიანური რესურსისაც – ქართველ და არაქართველ მის წარმატებულ კოლეგებზე დაყრდნობით რაღაც მხეცობა შეიძლება შეიქმნას და მთელი რეგიონისა და არამარტო რეგიონის სტუდენტებს მოუწევდეთ აქეთ გული. ევროპელს ფასიც მომხიბლავად მოეჩვენებოდა, აქ უფრო დაბალანსებული იქნებოდა, სწავლება კი უმაღლესი ხარისხის.

გიას მეც რაღაც ვაწყენინე გუშინ და ამას ვდარდობ, მაგრამ ამას თვითონ მივხედავ.

თქვენ იქნებ მომეხმაროთ, რომ ავანთოთ ამ საქმისთვის და გია თუ ავანთეთ, მერე მე ნუნუკასაც და მაკასაც, დაწვრილებით მივწერ და ვთხოვ ამ საქმეში ენერგიის ჩადებას. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ეს მათი დიდი სურვილიცაა.

ლაიქი არ დაინანოთ, თუ მეთანხმებით, ფრენდნო და ჯამაათნო, რომ გვჭირდება გია და გვინდა უძალიანმაგრესი სკოლა, არა შეკეთებული ძველი, არამედ უახლესი და უგადარეულესი, – წერს ფანჯიკიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

**pia.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა ყველაზე ახალგაზრდა ნაციონალზე იქორწინა



ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი რეხვიაშვილმა ყველაზე ახალგაზრდა ნაციონალზე იქორწინა, ყოფილი მინისტრის რჩეული მარიშკა ჯავახაძეა. ამის შესახებ სოციალურ ქსელში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გივი თარგამაძე წერს, რომელიც პატარძლის ნათლიაა.

– ყველაზე ლამაზი ნაციონალი (სხვა ლამაზი ნაციონალები ემოციებს მაპატიებენ), ჩემი უსაყვარლესი ნათლული, პირველი ბავშვი ჩემს სამეგობროში, მარიშკა ჯავახაძე და გადასარევი ახალგაზრდა, საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, ირაკლი რეხვიაშვილი შეუღლდნენ. ბედნიერი ვარ და ვუსურვებ ულამაზეს მომავალს, – წერს თარგამაძე.

**ambebi.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ვისთან წაავგო ეროტიული ცეკვა ნინო მუმლაძემ



მსახიობ ნინო მუმლაძის „ფეისბუკის“ კედელზე პიკანტურ ფოტოებს მოვკარი თვალი. ფოტოებიდან ირკვევა, რომ ნინო ერთ-ერთ კლუბში საკმაოდ თამამი მოძრაობებით მაყურებლის ყურადღებას იქცევს. ნინო თავანს აზარებსო, წერდა მისი მეგობარი და ტელემენწყვილე, მსახიობი, გიორგი გაგლოევი. ჩვენ ფოტოების წარმომავლობით დავინტერესდით და ნინოს დავურეკეთ.

– ეს ფოტოები უკვე გამოიყენა რამდენიმე საიტმა და დღეს ორივე საიტის რედაქტორს ვესაუბრე. ვუთხარი, რომ, თუ არ დააწერთ, სად და რა ვითარებაშია გადაღებული ფოტოები, სასამართლოში გიჩივლებთ-მეთქი. ეს არის „სპარინგ შოუს“ გადაღების პროცესი. გადაცემა „კომედი არხზე“ გადის და ფორმატი გულისხმობს ნაძლევს ვარსკვლავთან. შესაბამისად, წაგებული ასრულებს სურვილს. მე ეკა აბშილავასთან წავაგე ეროტიკული ცეკვის შესრულება კლუბში. შემდეგ აბსოლუტურად ფხიზელ მდგომარეობაში ჩავაბარე წაგებული. ეს იყო დადგმული ნომერი, რომელიც ჩვენმა ოპერატორებმა გადაიღეს. შემდეგ ინტერნეტშიც განათავსეს რამდენიმე ფოტო. ყველა მათგანს ჰქონდა წარწერა, რომ ეს გადაღებული იყო გადაცემის ჩაწერის დროს.

**reitingi.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „ცეკვავენ ვარსკვლავები“ უკრაინელი ქორეოგრაფების გარეშე დარჩა



სატელევიზიო პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ უკრაინელი ქორეოგრაფების გარეშე დარჩა. როგორც ამბობენ, ამის მიზეზი ჟიურის უცვლელ წევრს – გოჩა ჩერტკოევსა და ქორეოგრაფებს შორის მომხდარი უთანხმოება გახლავთ: გოჩა ჩერტკოევი ქორეოგრაფიით უკმაყოფილო იყო...

ნოე სულაბერიძემ აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა, თუმცა აღნიშნა, რომ ბოლომდე საქმის კურსში არ არის.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „მაგარი რომ ჰგონიათ თავი და უსაშინლეს გადაცემებს რომ აკეთებენ“ – გრიგოლია კოლეგებს აკრიტიკებს



ჟურნალისტი ინგა გრიგოლია „ფეისბუკის“ პირად გვერდზე კოლეგებს „მორალისტური პოსტების“ გამო აკრიტიკებს.

– რა უხერხულია, შენ რომ რაღაც გაუგებარ გადაცემას აკეთებ, უკვე კარგა ხანია რომლის ყურებადობაც 0,00 რაღაც პროცენტია, რომელიც კაცს არ უნახავს, იმიტომ, რომ უინტერესოა და უხარისხო და საკუთარის გამოსწორების ნაცვლად, სხვების გადაცემაზე რომ ხარ ჩაფიჩინებული, გიჟივით უყურებ ეკრანს და გიჟივით წერ მერე ფბ-ზე მორალისტურ პოსტებს... ძაან უხერხულია... ძააან... ერთი-ორ ჩემს კოლეგაზე ვწერ))))) თან ძაან მინდა მათი „მოთაგვა“, მაგრამ მაინც მერიდება ჯერ... აი, მაგარი რომ ჰგონიათ თავი და უსაშინლეს გადაცემებს რომ აკეთებენ... – წერს გრიგოლია.

მის პოსტს ნანუკა ჟორჟოლიანი გამოეხმაურა.

– დიდი ხანია ვაკვირდები მაგ კრიტიკის ამბავს და ზოგადად ეგრეა :) რაც უფრო მეტად არ გამოსდის, ვერ აკეთებს, ვერ ქმნის პროდუქტს ჩვენს სფეროში, მით უფრო მეტს ეგ „სასტავი“ ან ადამიანები ლაპარაკობენ. ამჯერად არ ვიცი, ვის გულისხმობ, მაგრამ დიდი ხანი მხოლოდ იმათ კრიტიკას ვკითხულობდი სტატიებში, ვინც 1%-ს წლები ვერ ასცდა:), – წერს ჟორჟოლიანი.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## გვანცა ბაგრატიონი: „ქალებმა არ უნდა ჩაყონ ცხვირი იქ, სადაც მათი ადგილი არ არის“



გვანცა ბაგრატიონის ახალი კლიპი Diamonds ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა და კრიტიკა დაიმსახურა. კლიპში გვანცას საყვარელი მამაკაცი ღალატობს და მასზე შურს იძიებს. გაბრაზებული რეპერი გოგონა სცენარის მიხედვის თავის მოკვლას დააპირებს, თუმცა საბოლოოდ ტყვიით იმ ადამიანს უსწორდება, ვინც უღალატა.

– თანასწორუფლებიანობა დიდი ხნის წინ არ ვრცელდებოდა ქალებზე. მოკლებულნი იყვნენ პოლიტიკურ უფლებებს. სამოქალაქო უფლებებშიც მნიშვნელოვან შეზღუდვებს განიცდიდნენ. დღეს აღარ არის ასე, შედარებით...

მაგრამ მამაკაცები ყოველთვის ქალებზე მაღლა მდგომად მიიჩნევენ თავს და ეს დრო არასდროს არ მოვა, რომ თანასწორი უფლებები გვქონდეს. და არც არის საჭირო ჩემი აზრით. კაცს ყოველთვის მეტი შეუძლია და ამაში ვერავინ შემედავება და უფრო მეტის უფლება აქვს, ვიდრე ქალს. ქალებმა არ უნდა ჩაყონ ცხვირი იქ, სადაც მათი ადგილი არ არის, – ამბობს გვანცა ბაგრატიონი.

**reitingi.ge**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. მდინარე კახეთში
2. ვარსკვლავებით შედგენილი ბედისწერა
3. მკვეხარა
4. ქართული ვაზის ჯიში
5. მითიური ცხენ-კაცი
6. გასართობი პარკში
7. დაჩირქებული ადგილი
8. იტალიური ავტომობილი
9. არქიტექტურული სტილი
10. სტატორი და ...
11. „მეფე ერეკლე და ... ქალი“
12. ტბა თბილისში
13. „სამგროშიანი ...“
14. თევზი ელექტრ. მუხტით
15. იგი კვაზიმოდოს უყვარდა
16. პოლონური ფულის ერთეული
17. მსახიობი ჯიმ ...
18. ჩილეს დედაქალაქი
19. წყლის საღებავები
20. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
21. სოფელი რაჭაში
22. ფედერიკო ფელინის ფილმი
23. მუხის ქერქი ერთგვარი
24. ტბა აფრიკაში
25. ქალაქი იტალიაში
26. ტაფაზე მომწვარი ცომი
27. „პიერი ... თანამშრომელი“
28. მსახიობი ... დიტრიხი
29. მომღერალი ... ალვინი
30. მდინარე კახეთში
31. საყანედ გაჩეხილი ტყე
32. „ნატვრის ხე“ დაუშვილი
33. მწერალი ... დე ბალზაკი
34. პრეზიდენტი ბარაკ ...
35. მხ/ფ „... თოვლზე“
36. ლეშისმჭამელი ფრინველი
37. პოეტი ... ტაბიძე
38. კომპოზიტორი სერგეი ...
39. მსახიობი მამუკა ...
40. დაბა ბაკურიანთან
41. ოპერა „... და ეთერი“
42. მსახიობი ... ბრანდო
43. კონტინენტი
44. ოჯახი სოფლად
45. ნოხი
46. მოსაპირკეთებელი ქვა
47. მსახიობი ... ჰეპბერნი
48. აზროვნების ორგანო
49. შხამიანი ობობა
50. სახელდახელო ფიცრული ნაგებობა
51. ბრინჯაო
52. მომღერალი ... ვაიკულე
53. მსახიობი ... პარადი
54. სამკურნალო მცენარე
55. წყლის ტრანსპორტი
56. რადიოლოკატორი
57. ტალინის სიმბოლო მოხუცი ...
58. აქლემის ნაშიერი
59. ერთნახადი არაყი
60. „კავკ. ცარცის წრე“ მოსამართლე
61. მწერალი ჟიულ ...
62. ანწლი
63. ყინვაგამძლე სითხე
64. რეჟისორი კვენტინ ...
65. ... სულაკაური
66. „... გრეის პორტრეტი“
67. გაყოფის შედეგად დარჩენილი
68. გამჭოლი ქარი
69. ველური ვაზი
70. იაზონის გემი
71. კარგად მოარული ცხენი
72. ადგილი თვალის ქვეშ
73. აფროდიტეს სატრფო
74. ამანათი
75. შოტლანდიის დედაქალაქი
76. შვედური ავტომობილი
77. იაპონური ჭადრაკი
78. ჯამის ფორმის სასმისი
79. ავსტრალიის ბინადარი ცხოველი
80. მონეტების შემგროვებელი
81. მუხის ნაყოფი
82. მდინარე საფრანგეთში
83. მეფე ძველ ეგვიპტეში
84. მეზღვაურის დამხმარე ბიჭი
85. ქიმიური ელემენტი
86. ფორმანის ფილმი მოცარტზე
87. ნადირობის ქალღმერთი
88. ... შვარცენეგერი
89. სოფელი ახმეტის რაიონში
90. მომღერალი ... კალასი
91. ზრდადაუსრულებელი ქათამი
92. მსახიობი ... კემბელი
93. მდინარე რუსეთში
94. მხატვარი ამედეო ...
95. ცხენებშებმული ტრამვაი
96. სურდო
97. სიო
98. ქალაქი ინგლისში
99. კომპოზიტორი ... პაულსი
100. უნგრელი კომპოზიტორი
101. იაპონური ხალათი
102. მსახიობი ... რობერტსი
103. თაგვის სადგომი
104. მისი დედაქალაქია ლიმა
105. პირველი სამნიშნა რიცხვი
106. იქნარე ...
107. მხატვარი ავთო ...
108. მწერალი ... კიპლინგი
109. ბუდის რომანი
110. მწერალი არტურ კონან ...
111. მდინარე თერგის ხეობა
112. ჩოხის შიგნით ჩასაცმელი
113. მდინარე საფრანგეთში
114. ლანგარი
115. მას ჰქონდა ჯადოსნ. ლამპარი
116. შინაური ცხოველი
117. კურორტი ოზურგეთის რაიონში
118. დაკოდილი ცხენი
119. შვედური ხურდა ფული
120. მტაცებელი ცხოველი სავანაში
121. ... არაბეთს როსტევან
122. იტალიის დედაქალაქი
123. მომღერალი ბობ ...
124. საიმპერიო პარტია
125. კუ. ინახავდა ოქროს გასაღებს
126. „გრაფი მონტე-კრისტო“ აბატი
127. ინის საპირისპირო
128. ხარებთან ბრძოლა
129. მდ. ჩაედინება არალის ზღვაში
130. კავშირებითი სიტყვა
131. მომღერალი ... ბადურაშვილი
132. წყალქვეშა კლდე
133. ჯერ შრომა, ... ხტომა
134. ესპანელი დიდებული
135. ყელის დაავადება
136. მსახიობი ... სორვინო
137. ხელის საგრილებელი
138. ცეცხლის ენა
139. მხ/ფ „ჩარირამა“ პერსონაჟი
140. ჰუნების ბელადი
141. მტაცებელი ფრინველი
142. მზის ჩასვლა
143. ყვავილი

პასუხები: 1. ალაზანი; 2. ჰოროსკოპი; 3. ბაქია; 4. ცოლიკაური; 5. კენტავრი; 6. ატრაქციონი; 7. აბსცესი; 8. „ფერარი“; 9. როკოკო; 10. როტორი; 11. ინგილო; 12. ლისი; 13. ოპერა; 14. სკატი; 15. ესმერალდა; 16. ზლოტი; 17. კერი; 18. სანტიაგო; 19. აკვარელი; 20. კვიპროსი; 21. ირი; 22. რვანახევარი; 23. კორპი; 24. ნიასა; 25. ლივორნო; 26. ბლინი; 27. მილიციის; 28. მარლენ; 29. ავრილ; 30. იორი; 31. ახო; 32. ციციკორე; 33. ონორე; 35. ყვავილი; 36. სვავი; 37. გალაკტიონ; 38. რახმანინოვი; 39. კიკალეიშვილი; 40. ცემი; 41. აბესალომ; 42. მარლონ; 43. აზია; 44. კომლი; 45. ხალიჩა; 46. მარმარილო; 47. ოდრი; 48. ტვინი; 49. ტარანტული; 50. ბარაკი; 51. რვალი; 52. ლაიმა; 53. ვანესა; 54. სალბი; 55. გემი; 56. რადარი; 57. ტომასი; 58. კოზაკი; 59. რახი; 60. აზდაკი; 61. ვერნი; 62. ავი; 63. ანტიფრიზი; 64. ტარანტინო; 65. ზაალ; 66. დორიან; 67. ნაშთი; 68. ორპირი; 69. უსურვაზი; 70. „არგო“; 71. თოხარიკი; 72. უპე; 73. ადონისი; 74. ბანდეროლი; 75. ედინბურგი; 76. „ვოლვო“; 77. გო; 78. ფიალა; 79. იხვნისკარტა; 80. ნუმიზმატი; 81. რკო; 82. რონა; 83. ფარაონი; 84. იუნგა; 85. იოდი; 86. „ამადეუსი“; 87. დიანა; 88. არნოლდ; 89. ომალო; 90. მარია; 91. ვარია; 92. ნივ; 93. დონი; 94. მოდილიანი; 95. კონკა; 96. რინიტი; 97. ნიავი; 98. ლივერპული; 99. რაიმონდ; 100. ლისტი; 101. კიმონო; 102. ერიკ; 103. სორო; 104. პერუ; 105. ასი; 106. ნელა; 107. ვარაზი; 108. რედიარდ; 109. „იზა“; 110. დოილი; 111. დარიალი; 112. ახალუხი; 113. ლო; 114. სინი; 115. ალადინი; 116. თხა; 117. ბახმარო; 118. იაბო; 119. ერე. 120. აფთარი; 121. იყო; 122. რომი; 123. მარლი; 124. არიან; 125. ტორტილა; 126. ფარია; 127. იანი; 128. კორიდა; 129. ამუდარია; 130. და; 131. ნინი; 132. რიფი; 133. მერე; 134. გრანდი; 135. ლარინგიტი; 136. მირა; 137. მარაო; 138. ალი; 139. ჭიპილია; 140. ატილა; 141. ორბი; 142. დაისი; 143. ია. იკითხება: ნიკე.



1. მწერალი დავით ...
2. პალმ. ისხამს კაკლებს
3. ჟღერ შრომა, ... ხტომა
4. ფირნიში
5. ცისა-რტყელას ფერი
6. დაბალ-ფასიანი
7. დია-მეტრის ნახევარი
8. ჟღუჟღა სახელ-წოდე ევროპაში
9. ცხოვე-ლების ექიმი
10. კრების ერთი პერიოდი
11. მსახიობი ... ოლივეე
12. რეპტილია, ანუ ...
13. ანწლი
14. მსახიობი რობერტ ...
15. ბანგლადეშის დედაქალაქი
16. მდინარე აზიაში
17. მდინარე ინდოეთში
18. მსახიობი ... როსელინი
19. ვიოლინოების ოსტატი ანტონიო ...
20. პროპელერებიანი ხელსაწყო
21. მცირე არია
22. მსახ. ... უიზერსპუნი
23. დღესასწაული ესპანეთში
24. მსახიობი არკადი ...
25. მსახიობი ... კინცკი
26. მხატვარი ... გრეკო
27. ძველი ეგვიპტის დედოფალი
28. ესპანელი დიდებული
29. მცენარე ვენახში
30. ინდიელების ქოხი
31. მომღერალი სოფია ...
32. გვარში დამშული მძიმე
33. ბოგა-ბურთის მოედანი
34. სასულე კლავიშ-ბიანი ინსტრუმ.
35. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
36. მწერალი ... ჩეხოვი
37. სეიფის კონდრისკაცი
38. სამკაული
39. ცხენ-ირემი
40. ბედი
41. ჭავჭავაძე ... ქვრივი"
42. მსახიობი ... ჟირარდო
43. ტყის ფრინველი
44. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
45. ტყის მასივი ციმბირში
46. ციხე-სიმაგრე თბილისში
47. მოკლე პალტო
48. ... შიგნიდან ტყდებაო
49. უკრემო ნამცხვარი
50. მხატვარი პოლ ...
51. ზმ/ფ „მეხუთე ელემენტი“ იოვოვიჩი
52. თეთრ-შავი ფანჯარა
53. ჟამი
54. ... არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი
55. სახედარი
56. საბაჟო აჭარაში
57. მახრჩობელა გველი
58. კონკისტადორი ერნან ...
59. ზმ/ფ „... ტიფანისთან“
60. ცეცხლგამძლე კირადა
61. მსახიობი ... ბელუჩი
62. მტაცებელი ცხოველი საგანეში
63. ... გათეთრებული ყორანი
64. ფოლადის საფხეხი ლუმელი
65. კომპოზიტორი ... ყანჩელი
66. მსახიობი ... იოვოვიჩი
67. თირკმელი, ანუ ...
68. საშკურნალო დანიშნულების წონა
69. მგელის, ანუ ... სპორტი
70. თამადის სიტყვა
71. ტაილანდის ძველი სახელწ.
72. ფაქტი, იგივე ...
73. ზებუნებრივი ძალების რწმენა
74. ცელის სიმპრალე
75. ქირურგის დანა
76. მსახიობი ... ბროუდი
77. ბულგარელი ბათილ-მხილველი
78. მისთვის ააგეს ბაღები
79. ძველი ეგვიპტის დედოფალი
80. ქვის ღობე
81. მსახიობი ჟან ...
82. შინაური ფრინველი
83. ჩილეს დედაქალაქი
84. მსახიობი ვივიენ ...
85. ქვაბანძირის აუზი გერმანიაში
86. მწერალი ჟიულ ...
87. ფეხბურთელი ანდრეს ...
88. საზონისი
89. ქალაქი ძველი ქართლში
90. მსახიობი ვასილი ...
91. იანის სპირის პირო
92. ინფექციური დაავადება
93. კომპოზიტორი ჟორჟ ...
94. ქალაქი სამეგრელოში
95. ზმ/ფ „ოქროს ...“
96. შტატი აშშ-ში
97. ჩვენებზების ფილმში
98. მსახიობი ... ნისონი
99. სომხეთის დედაქალაქი
100. გაზი, ანუ ...
101. კონდ შეკრული თავთავები
102. ბრიუს უილისი ფილმში
103. ვულკანური მასა
104. გიტარის მავთული
105. პოეტი ... აბაშიძე
106. მსახიობი ... რიჩარდ
107. თხელი, სოფრო-ფანი
108. რიცხვი 3,14
109. მსახიობი ... გიბსონი
110. მწერალი თომას ...
111. საეკლესიო წესების კრებული
112. ლატვიის დედაქალაქი
113. ელექტრო-ხელსაწყო
114. ტენორი ... ლანცა
115. ტაძარი ქუთაისში
116. არამუსლიმანური წარმოშობის თეთრკანიანი მონა
117. ძირფესი წიგნი ქვა
118. ქართ. სატელ. კლუბი
119. ... კუზანოვი
120. იტალიელი კომპოზიტორი
121. ხმადაბალი ტკლიპადება მუსიკაში
122. მომღერალი ... ლავინი
123. ზმ/ფ „... ქალაქში“
124. სოფელი გორის რაიონში
125. უანგარო შრომა
126. მხატვარი ... ავთო
127. ... ამდგარ-სა ღელე კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარი
128. შინაური მტაცებელი ცხოველი
129. მხატვარი ... შაგალი
130. „ვეფხვი“ იაპონურ მატჯი-ლის ვერბოროანიოვი, იგივე ...
131. მინათმოქმედების სპეციალისტი
132. რეჟისორი ... რიაზანოვი
133. რეჟისორი ... ლი
134. თმის წითელი საღებავი
135. მულტიპლიკატორი ... დისნეი
136. ნაზიდი ბაღებში
137. ბილიარდის ჯოხი
138. ფარული დაცინვა
139. 100მ
140. მწერალი ... დე მოპასანი
141. ხასიათი
142. ...-ჯლუქს-კლანი
143. მსახიობი ... ბროუს
144. დიდი ჩაქუჩი
145. ყვავილი

## როგორი ქალები აფრთხობენ და აშინებენ მამაკაცებს?



„გუდიანი“ შეიძლება კაცი არსებობდეს, რომელიც თუ საჭმელს არ შეჭამ, მოვა და წაგიყვანს... რაც შეეხება ქალს, გუდებით ის არ დადის და არც ჭამის გამო გადაგკარგავს უმისამართოდ, მაგრამ მაინც ისე გამოდის, რომ უამრავი მამაკაცის შეშინებას დიდი მცდელობის გარეშე ახერხებს...

როგორც აღმოჩნდა, არსებობს ქალების 5 სხვადასხვა ტიპი, რომლებიც მამაკაცებს აფრთხობს და აშინებს. იტალიელმა მეცნიერებმა სწორედ ეს ტიპები დაასახელეს და განმარტეს, რატომ ეშინიათ მამაკაცებს ასეთი ქალების.

კვლევის შედეგად მომზადდა ქალების ერთგვარი რეიტინგი, რომლებიც მამაკაცებს ცოლად არ მოჰყავთ, ან მოჰყავთ, მაგრამ არცთუ ხშირად.

პირველი: ქალები, რომლებიც გათხოვების სურვილით არიან შეპყრობილები (ალბათ, ასეთს ძალიან, ძალიან ბევრს იცნობთ).

მეორე: შვილიანი ქალები (პირადად ჩვენი აზრით, ასეთ ქალებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ მამაკაცებისგან შანსი და უზარმაზარ სიბრიყვედ მიგვაჩნია მათზე უარის თქმა მხოლოდ იმის გამო, რომ პირველი ქორწინება წარუმატებლად დასრულდა).



მესამე: ნაკითხი, განათლებული ქალები (ახლა, თუ მამაკაცი თავად არის გაუნათლებელი და ხეპრე, რა თქმა უნდა, ინტელექტუალი პარტნიორის შეეშინდება კი არა, სათოფეზეც არ და ვერ მიეკარება).

მეოთხე: ქალები, რომლებსაც ჰყავთ უამრავი მეგობარი, მაგრამ არ გააჩნიათ საკუთარი აზრი (გინდ ქალი იყოს და გინდ კაცი, თუკი საკუთარი აზრი არ აქვს, მართლა რთულია მასთან ურთიერთობა, ალბათ, დაგვეთანხმებით).

მეხუთე: ამაყი, თვითკმაყოფილი ქალები, რომლებიც საკუთარ თავს დედოფლად მიიჩნევენ (ჯერ ერთი, მეფეების, დედოფლებისა და ბატონების დრო კაი ხნის წინ გავიდა. მერე მეორე – დედოფალი, პრინცესა და ბარბი რომ უნდოდეს კაცს, თოჯინებთან ექნებოდა ურთიერთობა).

ისე, სადაც ნამდვილი სიყვარულია, იქ ორივე მხარემ უნდა თქვას უარი გარკვეულ მინუსებზე და შიშები და ფეთიანობაც თავისით გაქრება...

***woman.ru***

## მეცნიერები: ჩვენს გალაქტიკაში სიცოცხლის უამრავი მტკიცებულებაა



ასეთი განცხადებებით ადრეც ბევრჯერ გამოსულან ხოლმე მეცნიერები, მაგრამ ამის მიუხედავად, ბრიტანულ მედიაში მაინც „სენსაციური“ უწოდეს ასტრონომების სამეფო საზოგადოების შეკრებაზე გაჟღერებულ მოსაზრებას, რომ სამყაროში აუცილებლად არსებობს სხვა სიცოცხლეც.

ბრიტანელი მეცნიერების ჯგუფმა, ჯეი ფრაიჰის ხელმძღვანელობით, ჩვენს გალაქტიკაში თეთრი ჯუჯები (ვარსკვლავები, რომლებიც საკუთარი თერმობირთვული ენერგიის გარეშე არიან დარჩენილები). სპეციალისტების განმარტებით, სწორედ ასეთი ტიპის ვარსკვლავად გადაიქცევა დროთა განმავლობაში მზეც, რომელიც ჯერჯერობით ყვითელი ჯუჯების ჯგუფში შედის.

კვლევის ავტორთა მტკიცებით, თავდაპირველად მზე გაიბერება, ჩაქრება, შემდეგ კი აფეთქდება და თეთრ ჯუჯად იქცევა.

თუკი ადამიანები ამ დრომდე იცხოვრებენ (მზეს ასეთი უბედურება თავს დაახლოებით 1,5 მილიარდი წლის შემდეგ დაატყდება), ცვლილება მათ აუცილებლად შეიწირავს. მაგრამ დედამიწის არსებობის შესახებ ჰიპოთეტური დამკვირვებლები მაშინაც მიიღებენ ინფორმაციას, რადგან სპექტრული ანალიზი აჩვენებს, რომ ოდესღაც ვარსკვლავთან ქვიანი პლანეტაც ბრუნავდა.

სწორედ ასეთივე დასკვნები გამოიტანეს მეცნიერებმა, როცა დაახლოებით 150 თეთრ ჯუჯას აკვირდებოდნენ. აღმოჩნდა, რომ იქ ძალიან ბევრი კალციუმია. ის ვარსკვლავისთვის საკმაოდ მძიმე ელემენტია. ამდენად, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ აფეთქებული პლანეტის ნარჩენებთან უნდა ჰქონდეთ საქმე. გარდა ამისა, დაახლოებით 110 ჯუჯის ქიმიური შემადგენლობა იმაზე მეტყველებს, რომ ოდესღაც მათ გარშემო ბრუნავდნენ პლანეტები წყლიანი ოკეანეებით, რაც სიცოცხლის ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის. სხვა საქმეა, რომ ეს მხოლოდ ნაკვალევია და თუკი ოდესმე იქ სიცოცხლე მართლაც იყო, ახლა მხოლოდ ცივილიზაციების საფლავებიღაა შემორჩენილი.

***kp.ua***

## მძარცველი ბანკში მოლარის ცუდი მუშაობის გასაპროტესტებლად დაბრუნდა



ეტყობა, როცა ცალტვინა არტურ ბრანდეიჯი ბანკს ძარცვავდა, მოლარემ ყავაც კი არ შესთავაზე, ფეხების „გრელკით“ გათბობაზე ხომ საერთოდ საუბარიც ზედმეტია...

ეს კურიოზული შემთხვევა ნიუ-იორკში, კერძოდ კი ქალაქ სირაკიუსში მოხდა – 28 წლის ბრანდეიჯმა ბანკი დააყაჩაღა, თუმცა შეშინებული მოლარის მიერ მიღებულმა თანხამ არ დააკმაყოფილა.

ჰოდა, ადგა ბოროტმოქმედი და ფინანსური დაწესებულების ხელმძღვანელობას ჩივილით მიადგა – თქვენი უნამუსო, უსინდისო და ხელიდან წასული მოლარე ნორმალურად არ მომემსახურაო.

რა თქმა უნდა, მძარცველის ბანკში მიბრუნებისთანავე პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცველებმა უტვინო ახალგაზრდა ადვილად შეიპყრეს და იქ მიაბრძანეს, სადაც ჯერ არს...

***etotupo.ru***

## რომელი უსიამოვნებების დაძლევაში დაგეხმარებათ ჩვეულებრივი მზესუმზირა?



ეს კითხვა ამერიკელ მკვლევარებს გაუჩნდათ და გადაწყვიტეს, მეტ-ნაკლებად ამომწურავი პასუხი მოეპოვებინათ. ჰოდა, შედეგი იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანი მიიღეს, თავადაც გაკვირვებულები და სასიამოვნოდ გაოცებულები დარჩნენ. კვლევამ აჩვენა, რომ ჩვეულებრივ მზესუმზირას შეუძლია შეაფერხოს არაერთი სახეობის სიმსივნე. მაგალითად, კუჭის, საკვერცხეების, სარძევე ჯირკვლების, კანის, ფილტვების და ასე შემდეგ.

რატომღაც, ექსპერიმენტებში ამერიკელებმა არა თაგვები, არამედ ქათმები გამოიყენეს.

შინაური ფრინველების კვების რაციონში მზესუმზირას სპეციალისტები მთელი წლის განმავლობაში ურევდნენ. შედეგად, სიმსივნით დაავადებულ ქათმებში, იმ კატეგორიაშიც კი, რომელსაც დაავადება ბოლო სტადიაში ჰქონდა უკვე გადასული, მეტასტაზები საგრძნობლად შემცირდა. შემდგომში კი ზოგიერთი მათგანი გამოჯანმრთელდა კიდეც.

კვლევის ავტორები ამბობენ, რომ თუკი ამ მონაცემებს დამატებით მტკიცებულებებს დაურთავენ, არ არის გამორიცხული, მომავალში კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატები უკვე მზესუმზირის საფუძველზეც დამზადდეს.

***myjane.ru***

## ჩინელმა მამაკაცმა ცოლს სასამართლოში უჩივლა... ლამაზი არ ხარო



მიხო მაროს ეუბნება: „ნახე, მარო, რა მშვენიერი დღეა, არა?“ „მაშ, მიხო, მაშ...“ „მერე, შე ჩემის თვრამეტიანო, არ გახსოვს, რომ მითხარ, ერთ მშვენიერ დღეს გაგშორდებიო?!“

ჩინელმა მამაკაცმა იფიქრა, თუკი ცოლი თავისით არ გამშორდება, სასამართლოს მივმართავო. მით უმეტეს, რომ გარკვეული საფუძველი, მართლმსაჯულებისთვის მიემართა, ცზიან ფენგს ნამდვილად ჰქონდა.

ფენგს უსაზღვროდ უყვარდა ქალი, რომლის სილამაზე არავითარ ეჭვებს არ უჩენდა. მოგვიანებით წყვილი დაქორწინდა კიდეც. ჰოდა, აქ მოხდა ძალიან გაუთვალისწინებელი რამ.

წყვილს გოგონა შეეძინა, რამაც ცზიან ფენგის ოჯახურ იდილიას ბოლო მოუღო. ხელი არ გვიბრუნდება ამის დასაწერად, მაგრამ იქაურ მედიაში როგორც ამბობენ, ახალშობილი საშინლად შეუხედავი აღმოჩნდა. მისი სახის ნაკვთები არც მამისას ჰგავდა და არც დედისას. მამაკაცი დაეჭვდა, ცოლმა მიღალატაო და იმის გაგება მოისურვა, ვინ იყო ბავშვის მამა. საბოლოო ჯამში, ქალი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ მომავალ ქმართან გაცნობამდე ჩრდილოეთ კორეაში პლასტიკური ოპერაცია ჩაიტარა და უზადო გარეგნობა ასე მიიღო.

ტყუილმა ჩინელი მამაკაცი იმდენად აღაშფოთა, რომ მაშინვე განქორწინება მოითხოვა და ცოლს სასამართლოში უჩივლა, ოჯახში მოტყუებით შემომივიდა და სინამდვილეში მახინჯი ყოფილაო. ჩინური მართლმსაჯულება სარჩელის პატრონს დაეთანხმა და ქალს აწ უკვე ყოფილი ქმრისთვის კომპენსაციის სახით 120 ათასი აშშ დოლარის გადახდა დააკისრა.

***vk.com***

**მიხეილ სახვაძე 599 93-28-03**



პესიმისტი გვირაბს ხედავს. ოპტიმისტი – სინათლეს გვირაბის ბოლოს. რეალისტი – გვირაბში მომავალი მატარებლის ნათურების შუქს და მხოლოდ მემანქანე ხედავს რელსებზე მდგომ სამ იდიოტს...

*****

სიტუაცია სუპერმარკეტში:

– რატომ არის კვერცხები ასეთი ჭუჭყიანი?!

– ეჰ, ბატონო, საწყალ ქათმებს ისეთ გეგმებს უდგენენ, საჯდომის გამოწმენდასაც კი ველარ ასწრებენ...

*****

მათემატიკის მასწავლებელს მოსწავლის დედა მიუვარდა:

– როგორ მოგაფიქრდათ, ბავშვისთვის მიგეცათ ამოცანა, რომელშიც ნათქვამია, რომ ერთი ბოთლი ლუდი 45 თეთრი ღირს?! ჩემს ქმარს აღელვებისგან წუხელ მთელი ღამე არ უძინია!

*****



სოფლიდან ქალაქში დაბრუნებულმა პატარა კოტემ მშობლებს შეშფოთებულმა გამოუცხადა:

– დედიკო და მამიკო, ტყუილი ყოფილა, ძროხა რძეს გვაძლევსო. კი არ გვაძლევს, ძალით ართმევენ!!!

*****

– მხოლოდ საქართველოში შეიძლება გადაყირავებული ავტომობილიდან სიცილის ხმა ისმოდეს...

*****

ზოგიერთი პოპულარული ტელეწამყვანები ჭკვიანი სიფათებით სულ ერთსა და იმავეს იმეორებენ:

– ცოლიანი საყვარლები მყოლია, მაგრამ აბა, ვის არ უქნია ასეთი რამ?!

– ერთდროულად ორ მამაკაცს ვხვდებოდი, მაგრამ ასე ხომ ბევრი იქცევა?!

– მე კი ახალგაზრდობაში არაერთი მამაკაცი გამომიცვლია!

არადა, ხომ შეიძლება ყველაფერი მოკლედ და გასაგებად თქვან: ბოზი ვარ!..

*****

– გოგონა, ტრუსები თქვენ ხომ არ დაგეკარგათ?

– იდიოტო! ტრუსებს საერთოდ არ ვიცვამ!

*****

შვილი დედას გასძახებს:

– დე, მერძევე მოვიდა. ფულს მისცემ თუ ისევ სასეირნოდ ჩავიდე?

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

ქ. თბილისის „საბურთალოს ახალი ბაზრის“ ადმინისტრაცია და ბაზრის მოვაჭრეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ დირექტორის ედუარდ ჯვარშეიშვილის დის

**ნათელა ჯვარშეიშვილი-კოპალეიშვილის**

გარდაცვალების გამო
**დაკრძალვა:** 30 ოქტომბერს;
**გამოსვენება:** ქ. სამტრედია. 15 საათზე.



შვილები რუსიკო, ლადო, შვილიშვილები მარიამი, შოთიკო, მინდია, ანასტასია ძნელაძეები, რძლები მაია მაისურაძე, ჩიტო ვაჩეიშვილი, ძმისშვილები ნატო, ნინო ვაჩეიშვილები, დისშვილები მამუკა, ლევან ასათიანები, მძახლები სვეტა მაისურაძე, ნელი, ბორის ხუადეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შოთა ვლადიმერის ძე ძნელაძე**

**პანაშვიდი:** 28-29 ოქტომბერს;
**მისამართი:** სიმონ ჩიქოვანის (ხილიანი) №24;
**დაკრძალვა:** 30 ოქტომბერს, 14 საათზე, ვაკის სამების ტაძრიდან.

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## რა უარყოფითი შედეგები მოსდევს მშობიარობის პროცესზე მამების დასწრებას



– მამაკაცები, რომლებიც მეუღლის მშობიარობის პროცესს ესწრებიან, სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმის მიღებით რისკავენ, რასაც შესაძლოა, მათი, როგორც მშობლის „დისკვალიფიკაცია“ მოჰყვეს, – მიიჩნევენ ბირმინგემის ბიოსამედიცინო ეთიკის ცენტრის სპეციალისტები, რომლებიც განმარტავენ, რომ თანამედროვე რიტორიკა მშობიარობის პროცესში ორივე პარტნიორის მონაწილეობასთან დაკავშირებით, უდიდესი შეცდომაა.

უფრო ზუსტად, ბრიტანელი სწავლულები ამტკიცებენ, რომ მშობიარობაზე დაკვირვებისას, მამაკაცი საკუთარ პასიურ მდგომარეობას ათვითცნობიერებს, ეს კი სამომავლოდ მისი, როგორც მშობლის ფორმირებაზე უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენს, რადგანაც თავდაჯერებულობა ფაქტობრივად, უკვალოდ ქრება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სპეციალისტებმა საკმაოდ მასშტაბური კვლევაც ჩაატარეს, რომელშიც 20 ათასამდე მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა. აღმოჩნდა, რომ თვითშეფასების პრობლემა დაახლოებით 75 პროცენტს სწორედ მას შემდეგ გასჩენია, რაც მეუღლის წვალება საკუთარი თვალებით უნახავს.

– არავითარი აუცილებლობა იმისა, რომ მამაკაცი მშობიარობას დაესწროს, არ არსებობს. უმჯობესია, მათ შვილების შემდგომ ბედზე იზრუნონ, – ამბობენ ბირმინგემელი მეცნიერები.

*medkarta.com*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**28 ოქტომბერი:** კარგი იქნება, თუკი საკუთარი პრობლემებით დაკავდებით, სხვები მოიცდის. ჯერ მთავარ საქმეებს მიხედეთ, მერე – დანარჩენს. ყველაფერს ერთად ვერ მოასწრებთ.

**კურო 22.04-21.05**
**28 ოქტომბერი:** თუ დღეს პრობლემის შესახებ ხმამაღლა იმსჯელებთ, მისი დაძლევის გზებს უფრო ადვილად მოძებნით.

**ტყუპები 22.05-21.06**
**28 ოქტომბერი:** შესაძლებლობის ფარგლებში შეეცადეთ, ეს დღე სახლსა და ოჯახს დაუთმოთ. ძვირფასი არაფერი შეიძინოთ, დიდი ალბათობით, არასწორ არჩევანს გააკეთებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**28 ოქტომბერი:** შესაძლოა, სწორედ იმ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რომლისგანაც თავის დაღწევას ცდილობდით. რაღაც იდეა გაგიჩნდებათ, რომლის განხორციელებაც დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოთ.

**ლომი 23.07-22.08**
**28 ოქტომბერი:** პრიორიტეტული თქვენი პირადი ცხოვრება უნდა იყოს, განსაკუთრებით ის, რომელიც გრძნობებს უკავშირდება.

**ქალწული 23.08-22.09**
**28 ოქტომბერი:** გარკვეული ცვლილებებია საჭირო, ისე საქმის კეთების სტიმული არ გექნებათ. ასე რომ, მიმოიხედეთ და რამე უკეთესობისკენ შეცვალეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**28 ოქტომბერი:** შეეცადეთ, ეს დღე ნაყოფიერად გამოიყენოთ, მაქსიმალურად იაქტიურეთ. ყველა საქმის დასრულებას შეძლებთ, რომელსაც წამოიწყებთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**28 ოქტომბერი:** დღეს სიამაყე დაივიწყეთ და დახმარება ითხოვეთ, თუკი გინდათ, რომ საქმეები მოასწროთ. რად გინდათ, ვინმეს თვალში სუსტი და უუნარო გამოჩნდეთ?

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**28 ოქტომბერი:** დღეს არც დრო გექნებათ და არც სურვილი საიმისოდ, რომ ვინმეს თამაშში ჩაერთოთ. არც ჩაერთოთ, მოვალე არ ხართ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**28 ოქტომბერი:** თუ დაუმთავრებელი საქმე გაქვთ, შეეცადეთ, დღეს დაასრულოთ, შემდგომისთვის არ გადადოთ, მისი კეთებით სიამოვნებას ვერ მიიღებთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**28 ოქტომბერი:** დღეს ძალიან მგრძნობიარე და სუსტი იქნებით, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. შეეცადეთ, უსიამოვნო საუბრები თავიდან აიცილოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**28 ოქტომბერი:** კარგი დღეა, ძველი საქმეების ერთბაშად მოსამთავრებლად. თუ საღამოს ვინმეს მონახულებას გადაწყვეტთ, დიდი სიამოვნებით მიგიღებენ.

## სუნამო სპეციალურად... წონაში დაკლებისთვის




– ნახე, როგორი წონაში დაკლების სუნი მაქვს, მოგწონს? – უცნაურად კი ჟღერს ეს კითხვა, მაგრამ მის დასასმელად ნამდვილად არსებობს მიზეზი და ახლავე გეტყვით, რა ხდება.

როგორც ირკვევა, ფრანგულმა „რობერტემ“ პირველმა მსოფლიოში შექმნა სუნამო წონაში დაკლებისთვის.

პარფიუმის შემადგენლობაში შედის ნივთიერებები, რომლებიც კანზე მოხვედრისას ენდორფინებს (ბედნიერების ჰორმონებს) გამოყოფენ და მადას ასუსტებენ.

ცნობილია ისიც, რომ, ენდორფინების გარდა, სუნამოში შედის კოფეინი, კარნიტინი და სპირულინის ექსტრაქტი. მათი უმთავრესი დანიშნულებაა, ენზიმების გააქტიურება, რომლებსაც ცხიმების დაწვა ევალებათ. ტესტმა, რომელიც პარფიუმს ჩაუტარდა, აჩვენა, რომ 18-დან 70 წლის ასაკის ქალების 75 პროცენტში მადა მართლაც მნიშვნელოვნად შემცირდა და რაც მთავარია, მათ საერთოდ დაავიწყდათ სიტყვები: „აუ, ახლა რამე გემრიელს შევჭამდი“.

მოკლედ, ფრანგების მიერ შექმნილი სუნამოს დახმარებით, მშვენიერი სქესი საკვების აღქმის მიმართ რადიკალურად შეიცვალა, რაც, ბუნებრივია, მათი წონის შემცირებით სრულდება. რა ღირს სუნამო და როგორ შეიძლება მისი შეძენა, სამწუხაროდ, ამ კითხვების პასუხები ველარ მოვიძიეთ.

*news.liveinternet.ru*

## კუჭის წყლულს ჩვეულებრივი ბოსტნეული დაამარცხებს



ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება, როგორც აღმოჩნდა, ყველაზე პოპულარული პროდუქტით შეიძლება დამარცხდეს.

როგორც ბრიტანელი მეცნიერები ამბობენ, კუჭის წყლულზე ანტიბაქტერიულ ზემოქმედებას კარტოფილი ახდენს.

ნისლიან ალბიონზე ჩატარებული კვლევების შედეგები იმდენად მნიშვნელოვანი და წარმატებული აღმოჩნდა, რომ დაგეგმილია კარტოფილის წვენის საფუძველზე ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შექმნა, რომელსაც ადამიანი წამლის მსგავსად მიიღებს, ისე, როგორც ეს თევზის ქონის შემთხვევაში ხდება.

კვლევა მანჩესტერის მიკრობიოლოგიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს და აღმოაჩინეს მოლეკულა, რომელიც ანტიბაქტერიული თვისებებით არის გამორჩეული.

აღმოჩნდა, რომ ის ანადგურებს იმ საშიშ ბაქტერიებს, რომლებიც წყლულს იწვევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კარტოფილის წვენი არ იწვევს მიჩვევას, როგორც ეს ანტიბიოტიკების შემთხვევაში ხდება. ამდენად, მისი ხანგრძლივად გამოყენება არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს.

*perfectlady.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ქუჩაში მეგობრები შეხვდნენ. ერთი ცუდ ხასიათზეა.
– რა გჭირს, რატომ ჩამოგტირის ცხვირ-პირი?
– შეყვარებულს ვეჩხუბე მაგრად.
– რატომ?
– გუშინ მეტროთი ვიმგზავრეთ. მთელი გზა მინაზე ვაორთქლებდი და მის სახელს ვწერდი. ჰოდა, გამიბრაზდა.
– უცნაურია! რა არის ამაში გასაბრაზებელი?
– რა ვიცი, არ უყვარს, როცა სათვალეზე აორთქლებენ და...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
» 211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.30